ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 8 აპრილი, 2022 №70 (8848) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

ბოლნისის სასამართლომ „ქურდული სამყაროს“ წევრობაში ბრალდებული 8 პირი დამნაშავედ ცნო

მამის მხრიდან სასტიკი მოპყრობის შედეგად მოზარდს უნებლიე შარდვა დაეწყო

გვ.6

„ეს ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ეშმაკს მიყიდის სულს!“

გია ხუხაშვილი: „ხვალ ბაიდენმა რომ გააკრიტიკოს ჩვენი ხელისუფლება, იმაზეც იტყვიან, რომ ნაციაო“

გვ.2

გვ.3

„მე რომ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ვიდექი, ოხანაშვილი მაშინ ნაციონალებში იყო“



მურმან დუმბაძე: „გია ვოლსკი 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ცეკას ინსტრუქტორი იყო... მახსოვს უკვე ნამინისტრალი და სააკაშვილმა სამსახურიდან გამოაგდო“

ოკუპანტ რუსეთს თურქეთთან და ისრაელთანაც დაეძაბა ურთიერთობა

გვ.3

„ქალებსა და ბავშვებზე ძალადობისათვის რუსეთის ჯარისკაცებს აჯილდოვებენ“

გვ.2

პრემიერის ხელმძღვანელობით, ეკონომიკური საბჭოს შეხვედრაზე კონკრეტული სამშენებლო-ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს

„ეროვნულ ხელისუფლებას 30 წელია რეჟიმი სასტიკად გვექცევა“

გვ.4

გელა ჩორგოლაშვილი: „ხელისუფლებაში მშვიდობიანი გზით მოვედით და ყოველთვის მშვიდობიანი მოქმედების მომხრეები ვიყავით. ამ პოზიციას დღემდე ვინარჩუნებთ“

გვ.5

ვახტანგ გომელაურმა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს უმასპინძლა

19932307202 23

4 ნატალი საბანაძე: „უკრაინის მთავრობასთან საუბრის გარეშე ჩვენ თამაშგარე მდგომარეობაში მოვხვდებით“

6 მისი ნივთები ნაპირზე ნახეს
რუსთავში მტკვარში მამაკაცს ეძებენ

5 „სიმაღლის შიში მაქვს, მაგრამ მე-4 სართულიდან გადმოვხტი“
ლაგუნა ვერეს საქმეზე დაკავებულ ოთხივე პირს პატიმრობა შეეფარდა

6 დმიტრო კულება: „ჩვენ გვჭირდება მეტი იარაღი“

„ეს ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ეშმაკს მიყიდის სულს!“

გია ხუხაშვილი: „ხვალ ბაიდენმა რომ გააკრიტიკოს ჩვენი ხელისუფლება, იმაზეც იტყვიან, რომ ნაციაო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, როგორია თქვენი შეფასებები იმ მძიმე ბრალდებასთან დაკავშირებით, რომელიც უკრაინულმა მხარემ საქართველოსთან მიმართებაში გააჟღერა. რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლების პასუხი ამ ბრალდებაზე? უკრაინულმა მხარემ მტკიცებულებები წარმოადგინოსო აცხადებს როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიციის ნაწილი. რას იტყვით თქვენ?

– საერთოდ, როდესაც სადაზვერვო სამსახური აკეთებს განცხადებას, იქ მტკიცებულებების მოთხოვნა, ღრმად არასერიოზულია. როდესაც ის რაღაცას ამბობს, მტკიცებულებებს არ წარადგენს. ამის პრეცედენტები თუ ვინმემ იცის, კი ბატონო, მითხრას. ხოლო თუ წარადგენს, წარადგენს მხოლოდ დახურული არხებით. როდესაც საქმე მიდის საჯარო განცხადებამდე, ეს იმისთვის კი არ კეთდება, რომ ვიღაცა დასაჯონ, ან ვიღაცას პრეტენზიებს უყენებენ, კეთდება პრევენციისთვის, ჩვენ ვიცით, რომ ამას აკეთებ და აღარ გაიმეორო, აღარ გააკეთოო. უკრაინის ეს განცხადება იმისთვის კი არ იყო, რომ ბრალი დაედო ჩვენი ხელისუფლებისთვის.

– ამას პრევენციული ხასიათი ჰქონდა?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ვიცით, რომ ეს ხდება, ანუ ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ამას ადგილი აქვს. გვეუბნებიან, რომ ეს არის გაფრთხილება და ნუ მიიღებს ეს სისტემურ ხასიათს, ანუ ნუ გაგრძელდება, იმიტომ, რომ ჩვენ ინფორმაცია გვაქვს. რატომ არ წარადგენენ ასე ღიად მტკიცებულებას? იმიტომ, რომ თავის აგენტურას არც ერთი დაზვერვა არ შიფრავს. ფაქტია, რომ თუ მათ რამე ინფორმაცია აქვთ, ეს არის აგენტურული ინფორმაცია.

– მესამე მხარის მხრიდან მიწოდებული?

– დიახ, რა თქმა უნდა. უკრაინის დაზვერვას ახლა საქართველოსთვის არ ცალია, მილიონი პრობლემა აქვთ. ეს არის მესამე მხარის მიერ მიწოდებული, საკუთარი აგენტურის მეშვეობით. მაგალითისთვის, დავუშვათ, ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვა, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ადგებიან და გომელაურს ჩაუკაკლავენ, სუს-ში ვინ ყავთ თავისი აგენტები?! ბუნებრივია, ამ დროს ასეთი რამ არ ხდება. ეგეთი რაღაც ძალიან იშვიათია.

– ხელისუფლებამ რა უნდა ქნას ამ დროს, ამბობთ, რომ არანაირ მტკიცებულებებს არ მოაწვდიან. თავის მართლების რეჟიმში უნდა იყოს?

– ხელისუფლებამ თავი არ უნდა იმართლოს! უნდა თქვას, რომ ჩვენ ამას უარვყოფთ, ეს არ ხდება. ამიტომ, მოდით, ერთად ჩავატაროთ გამოძიება, თუ რამე ხვრელები არსებობს, ხომ შეიძლება, რაღაცა ხდებოდეს ისე, რომ ხელისუფლება არ იყოს საქმის კურსში?!

– თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია ხელისუფლების გვერდის ავლით გაკეთდეს?

– თეორიულად ხომ შესაძლებელია?! მე რას ვფიქრობ, ეს ცალკე ამბავია. თუ ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არა აქვს, უნდა შესთავაზოს შესაბამის მხარეს, რომ ჩვენ ამას არ ვაკეთებთ და მოდით, ერთად გამოვიძიოთ რასთან გვაქვს საქმე, თუ რამე ხვრელებია ჩვენთან, გავარკვიოთ, თუ ვინმე დასასჯელია, ერთად დავსაჯოთ. თუ არასწორი ინფორმაცია გაქვთ, ამაშიც ერთად დავრწმუნდეთ, მოდი რა, ვითანამშრომლოთ! აი ეს არის ამ დროს სწორი და სერიოზული, ადეკვატური რეაგირება და არა ის, რომ ისტერიკაში ჩავარდე.

– ძალიან მძიმე განცხადებები მოვისმინეთ ხელისუფლების მხრიდან.

– ეს არის აბსოლუტურად არაადეკვატური, პოლიტიკურადაც უმწიფარი განცხადებებია, სხვას რომ თავი დავანებოთ. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ დღეს უკრაინა არის გლობალური პოლიტიკის ცენტრი! იქიდან გასროლილ ნებისმიერ სიტყვას, ნებისმიერ განცხადებას, ყველაზე დიდი წონა აქვს მსოფლიოში. ამიტომ ჩვენივე ინტერესებშია, რომ გავაქარწყლოთ ეს. წყევლა-კრულვა კი არ დავიწყოთ, გავაქარწყლოთ თუ რამე ეჭვები არსებობს.

რაობას ომის პარტიას უწოდებს და ყველაფერს მას აბრალებს.

– „ოხანაშვილმა განაცხადა, გვამების შემოწყობას ასწავლიან უკრაინელებს ნაცებიო, ეს განცხადება რას ნიშნავდა? რაში ჯდება საერთოდ?

– ეს არის წარმოუდგენელი რაღაც, ამაზე საერთოდ კომენტარი როგორ უნდა გავაკეთო?! რაც გააკეთა გუშინ ოხანაშვილმა, მე არ ვიცი, ახლა ეს სიბრიყვით მოუვიდა თუ რამე უფრო მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ წარმოუდგენელი განცხადება იყო. ფაქტობრივად გუშინ, ოხანაშვილმა რუსულ პროპაგანდას სასწაული საჩუქარი გაუკეთა! ეს განცხადება რომ გაეკეთებინა ერთი ან ორი წლის წინ, ამას არავინ არ მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ როდესაც ბუჩაში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, რუსეთის პროპაგანდის ხავსი არის ის, რომ უკრაინელებმა თვითონ დაალაგეს გვამები და შენ, ქართული ხელისუფლების წარმომადგენელი აკეთებ განცხადებას, რომ ლორთქიფანიძემ ასწავლა უკრაინელებს გვამების შემოდება, კი ინტერპრეტაციას ვახდენ, მაგრამ ასე გამოვიდა. აი ასეთი განცხადება, პირდაპირ საჩუქარია რუსეთისთვის.

– ღარიბაშვილის განცხადებაც საკმაოდ მძიმე იყო ბუჩასთან დაკავშირებით. მე ვიცოდი, რომ უკრაინელები დაისჯებოდნენო. რას ნიშნავს ეს?

– ის, რაც ხდება უკრაინაში, ამ ყველაფერს როდესაც ჩვენი ხელისუფლება აძლევს დასჯის ინტერპრეტაციას, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ნიშნავს ძალიან მარტივ რაღაცას, რუსეთმა ჩვენ რომ ანალოგიური დამორჩილება შემოგვთავაზოს, კაპიტულაციის აქტი რომ დაგვიდოს მაგიდაზე, ეს ხელისუფლება ხელის მომწერია, იმიტომ, რომ სწორედ ამას ნიშნავს ღარიბაშვილის განცხადება. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთ ვითარებაში, სწორედ კაპიტულაციაა ყველაზე სწორი ნაბიჯი! რომ გაიძახიან, აბა, ომი გინდათ? მშვიდობიანი დაუმორჩილებლობაც წინააღმდეგობის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რატომ მაინცდამაინც ომი?! როდესაც მუდმივად ლაპარაკობენ ომზე და ლაპარაკობენ იმაზე, რომ უკრაინა ისჯება, ეს ნიშნავს იმას, ჩვენ რომ არ დავისაჯოთ, თუ ხვალ რუსეთი შემოგვიტრიალდება, ჩვენ კაპიტულაციას უნდა მოვაწეროთ ხელი, აბა რა ვქნათ, ომს ხომ არ დავიწყებთ?! აი ეს არის ღარიბაშვილის, კობახიძის, მდინარაძის, ოხანაშვილის და დანარჩენების რიტორიკა. ეს ემსახურება საზოგადოებრივი აზრის მომწიფებას წინასწარ, შესაძლო კაპიტულაციაზე. ამას დავარქვათ ტრაქტატი ორი. ანუ რუსეთთან გაფორმდეს ტრაქტატი. აი ასეთი მატრიცა შექმნეს პროპაგანდისტული. თუმცა რუსეთი გაიჭედა, მთლად ისე არ განვითარდა პროცესები, როგორც პროგნოზირებდნენ და ახლა დაბნეულები არიან, რა ქნან, არ იციან. ხან წითელ დროშას ამოაყოფინებენ თავს და ხან ლურჯ-ყვითელს.

– არ იციან, რომელ სკამზე დასხდნენ?

– კი, ასეა, ვეღარ გაიგეს. მთელი მათი პოლიტიკა აგებულია ერთ რამეზე, არა სახელმწიფო ინტერესზე, არა მის გრძელვადიან განვითარებაზე, არამედ ნებისმიერ ფასად ძალაუფლების შენარჩუნებაზე. ძალაუფლების შენარჩუნებისთვის მზად არიან, ეშმაკს მიყიდონ სული!

– შიდა დაპირისპირების გაღვივებასაც ხელს უწყობს ხელისუფლებაო. ამაზე რას იტყვით? რატომ აკეთებენ ამას?

– კი, ასეა. ეს ყველაფერი შიდა დაპირისპირებაში რატომ გადაჰყავთ? იმიტომ, რომ მათი ეს პროპაგანდა აგებულია იმაზე, რომ ყველაზე დიდი ბოროტება სამყაროში არის ნაციონალური მოძრაობა. ამიტომ, ნებისმიერი რაღაც, რაც მათ არ მოსწონთ და რაც დღეს მათ ძალაუფლებას ემუქრება, ეს უნდა დააკავშირონ ნაციონალურ მოძრაობასთან. ზელენსკიზე ვერ იტყოდნენ, რომ ცუდია.

ზელენსკი რომ გამოეყვანათ ცუდად, ამისთვის სჭირდებოდათ ეთქვათ, რომ ის არის ნაციონალური მოძრაობა. ხვალ ბაიდენმა რომ გააკრიტიკოს ჩვენი ხელისუფლება, იმაზეც იტყვიან, რომ ნაციაო. მათ სამყარო გაყვეს ორ ნაწილად, ქოცები და ნაცები! სამყაროში სხვა არაფერი არ არსებობს. მხოლოდ ეს ორი ძალა არსებობს. ვინც ქოცი არ არის, ის არის ნაცი! გინდა ბაიდენი იყოს, გინდა ზელენსკი იყოს, ვინც გინდა ის იყოს. ყველა ნაცია, ვინც ქოცი არ არის. აი ეს არის მათი სამყარო.

მაგალითად, მე, ჩემი მისამართითაც მომისმენია, ნაციაო. მაშინ როცა, ნაციონალურ მოძრაობასთან ბრძოლას ჩემი საუკეთესო წლები შევწირე, კობახიძის და ოხანაშვილისგან განსხვავებით, სხვათა შორის!

– გაეროს სხდომაზე გამოდის ზელენსკი და საქართველოს მხარდაჭერაზე ლაპარაკობს, მაშინ როცა, ჩვენი ხელისუფლება იმალებაო. ეს ნორმალურია?

– კი, ზელენსკი ლაპარაკობს საქართველოზე და ესენი ჩირგვებში სხედან. დიდი ბოდიში, მაგრამ დღეს უკრაინაში საქართველოსთვისაც იღვრება სისხლი. დღეს უკრაინაში რომ არ იყოს რუსეთი გაჭედილი, უკვე შემოტრიალებული იქნებოდა ჩვენსკენ და, სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ხელს მოაწერდა იმაზე, რაზეც ზელენსკი ხელს არ აწერს. აი ამაშია პრობლემა.

– საუბარი რითაც დავიწყეთ, კვლავ იმ თემას რომ მივუბრუნდეთ. პირადად თქვენ რამდენად უშვებთ, ბატონო გია, რომ ეს სიმართლეა?

– ეს არ არის რწმენის საკითხი, მე რა მგონია და სხვას რა. გუშინ ჩვენ ელჩების განცხადებებიც მოვისმინეთ. მათი განცხადებებით, ირიბად დადასტურებული იყო, რომ აქ არ ხდება მთლად კარგი ამბავი და იქიდანაც გაფრთხილება წამოვიდა სანქციებთან დაკავშირებით. სანქციებისთვის მხარდაჭერა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. დღეს მიდის მსოფლიო ომი და ამ მსოფლიო ომში, დასავლეთმა მთავარ იარაღად გამოიყენა ეკონომიკური სანქციები. შესაბამისად, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამ იარაღმა, რომლითაც ისინი ებრძვიან რუსეთს, მათ საწინააღმდეგოდ არ იმუშაოს. ამიტომ მარტო უკრაინისთვის კი არა, მთელი სამყაროსთვის მტკივნეულია, თუ ჩვენთან რაღაც ეგეთი მამაძაღლობა ხდება. აქედან გამომდინარე, მე მაქვს ძალიან მარტივი კითხვები. ერთია, რომ ლეგალურად შემოდის საქართველოში სანქცირებული, ორმაგი დანიშნულების ნებისმიერი სახის პროდუქცია და მერე ექსპორტის რეჟიმში გადის საქართველოდან. ეს იცით, როგორ უნდა იხურებოდეს?!

– როგორ?

– უნდა არსებობდეს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანება, შესაბამისი ჩამონათვალით, დასავლეთიდან სანქცირებულ პროდუქციაზე და ეს ბრძანება უნდა იყოს დაშვებული საბაჟო ორგანოებში. რომ საბაჟომ ამ ტიპის საქონელი არ გააფორმოს და არ მოახდინოს მისი ექსპორტი რუსეთში. მე ვსვამ კითხვას, ფინანსთა მინისტრის ასეთი ბრძანება არსებობს?! არ არსებობს! გარდა ზეპირი სიტყვებისა და ბიძინას გეფიცები, რომ ამას არ ვაკეთებ, არ არსებობს. სახელმწიფო ასე ზეპირ განცხადებებზე არ მუშაობს. სახელმწიფოში საჭიროა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რითაც იხელმძღვანელებს საბაჟო! ვითარებაში, როდესაც ასეთი დოკუმენტი არ არსებობს, საბაჟოს უფლებაც კი არ აქვს, რომ შეაჩეროს ტვირთი. არანაირი აქტი არ არსებობს და რის საფუძველზე შეაჩეროს?!

კეთილი ინებოს ფინანსთა სამინისტრომ, აიღოს ევროკავშირიდან შესაბამისი ჩამონათვალი, შექმნას ნორმატიული აქტი და მისცეს შესაბამისი მითითება საბაჟოებს. ასევე არის მეორე სქემა, შემოდის საქართველოში ლეგალურად და საქართველოს ტოვებს კონტრაბანდის სახით. ამდენი კომპანია რომ რეგისტრირდება, რუსეთიდან რომ ჩამოვიდა 30 ათასი კაცი, მათი კომპანიები რეგისტრირდება საქართველოში, ეს მოძრაობები და შარი-შური რომ მიდის, ვინმე აკონტროლებს ამას?! ეროვნული ბანკი ფინანსურ ნაკადებს აკონტროლებს?! თუ აქაც შავი ხვრელი არა გვაქვს?! შესაბამისად, ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს, მისი ზეპირი განცხადებების არავის სჯერა. არც ერთი ამ მიმართულებით, რაც მე ჩამოვთვალე, არანაირი ნაბიჯი გადადგმული არ აქვთ. თუ გადადგმული აქვთ, მაშინ რატომ გვიმალავენ, ვერ გავიგე?!

– ამ ვითარებიდან გამომდინარე, ისე ხომ არ მოხდება, რომ ჩვენც სანქციებში მოვყვეთ დასავლეთის მხრიდან. ეს საფრთხე გვემუქრება?

– ღმერთმა არ ქნას და თუ დადგინდა, რომ ჩვენ ხელს ვუწყობთ რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში და სისტემური ხასიათი მიიღო ამ ყველაფერმა, ბუნებრივია, სანქციებში მოვხვდებით, აბა არ მოვხვდებით?! დასავლეთი სწორედ ამ სანქციებით ეომება დღეს რუსეთს და თუ შენ რუსეთს ამ სანქციების გვერდის ავლაში ეხმარები, მაშინ შენ კოლაბორაციაში ხარ რუსეთთან და ებრძვი დასავლეთს. ამ შემთხვევაში სანქციები იქნება, აბა რა იქნება!

პრემიერის ხელმძღვანელობით, ეკონომიკური საბჭოს შეხვედრაზე კონკრეტული სამშენებლო-ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ეკონომიკური საბჭოს მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

საბჭოს წევრებმა განიხილეს ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად უახლოეს პერიოდში გადასადგმელი ნაბიჯები, მათ შორის, სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტები, ექსპორტის პოტენციალი, ტურიზმი და სამრეწველო-სასურსათო მარაგები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიმდინარე წელს სამშენებლო-ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილში დამატებითი მოცულობის დაკონტრაქტებას, რაც ქვეყანას გრძელვადიანი შესყიდვების საშუალებას მისცემს. საუბარი შეეხო კონკრეტულ პროექტებს, რომლებიც უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

სამუშაო შეხვედრაზე მთავრობის მეთაურმა მოისმინა ინფორმაცია ტურიზმის აღდგენის მიმართულებით არსებულ სიტუაციაზე. როგორც ეკონომიკის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, მიმდინარე დინამიკა დამაიმედებელია, კერძოდ, 2019 წელთან შედარებით ტურიზმის 70%-იანი აღდგენა ამ ეტაპზე პროგნოზის მიხედვით მიმდინარეობს.

ითქვა, რომ მიუხედავად რეგიონში არსებული სიტუაციისა, ქვეყნის სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის მომარაგების თვალსაზრისით შეფერხება არ არის. საუბარი შეეხო ლოგისტიკურ საკითხებს, სატრანსპორტო ნაკადებსა და ტვირთნაკადებს, რომელიც საქართველოში მზარდია და კიდევ უფრო მეტ კოორდინაციას მოითხოვს.

ISSN 1987-9385

ახალი ამბები

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გაფრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მე რომ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ვიდექი, ოხანაშვილი მაშინ ნაციონალებში იყო“

მურმან დუმბაძე: „გია ვოლსკი 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ცეკას ინსტრუქტორი იყო... მახსოვს უკვე ნამინისტრალი და სააკაშვილმა სამსახურიდან გამოაგდო“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, „ქართული ოცნების“ წევრმა, დეპუტატმა ანრი ოხანაშვილმა ბუჩასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე ბოდიში მოიხადა.

– ამ ბოდიშსაც და ანრი ოხანაშვილსაც ჩემთვის – საღამოს ბაზარზე გლეხები რომ გაიძახიან, ვედრო მანეთად – ის ფასი აქვს. საერთოდ რა საინტერესოა ბუჩაზე ან პოლიტიკაზე, ან საერთოდ რამეზე, ანრი ოხანაშვილის აზრი?!

– ოხანაშვილი ხელისუფლების წარმომადგენელია.

– დიახ, საუბედუროდ! მე რომ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ვიდექი და მიშას პოლიტიკას ვაკრიტიკებდი და 27 მაისს ციხეში ცოცხალ-მკვდარი ვიყავი, იცით ოხანაშვილი სად იყო?!

– სად?

– ნაციონალებში. სამაგიეროდ, ჩემ გვერდით იდგენენ გუბაზ სანიკიძე, ეკა ბესელია, ნინო ბურჯანაძე. ჩვენ იქ ვიყავით და ვაპროტესტებდით. სად იყო ან ოხანაშვილი ან მდინარაძე ან ბატონო ვოლსკი?! სად იყო მაშინ ეს ხალხი?! არ მგონია ისეთი პატარები ყოფილიყვნენ, რომ სახლიდან ვერ გამოსულიყვნენ და თავიანთი აზრი არ ჰქონოდათ, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, ხელისუფლებაში იყვნენ. დღეს კიდევ სხვა დროა და ისევ ხელისუფლებაში არის ყველა ეს ხალხი. ხოლო ის ხალხი, ვინც მაშინ რუსთაველზე იდგა, დღესაც რუსთაველზე დგას და აპროტესტებს ამათ უმსგავსობას.

ყველაფერი გაირკვევა. გაირკვევა ისიც, ვინ შემოდო ეს ხალხი მაღაზიის თავებზე თუ რა მოხდა, მაგრამ ამ ხალხს რა ეშველება, ყველა დროში რომ ხელისუფლებაში არიან. გია ვოლსკი 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ცეკას ინსტრუქტორი იყო. მერე იყო ყველა იმ ხელისუფლებაში, რომელიც იყო და არის საქართველოში. ასეთ ხალხზეა საუბარი.

2012 წელს მე დავაფუძნე „ქართული ოცნება“, მაგრამ არც მდინარაძე, არც ოხანაშვილი, არც კობახიძე და სხვები იქ არ მინახავს. ისევ მე, ეკა ბესელია, გუბაზ სანიკიძე ვიყავით, მაგრამ დღეს ესენი არიან. ახია მიშაზე, რომ თქვა, ეს ხალხი ჩასარეცხია, მართლაც უნდა ჩაერეცხა.

ყველას პირადად ვიცნობ, მიხეილ სააკაშვილის ოპონენტებს, რადგან ჩვენ ერთად ვიბრძოდით. იქ, იმ ბრძოლაში, მე ეს ხალხი არასდროს არ მინახავს. დღეს როგორ არიან ასეთი დაუძინებელი მტრები თუ მაშინ მინისტრები და მინისტრის მოადგილეები იყვნენ?! დღეს რა მოხდა, ხომ არ იცით?! მოხდა ის, რომ დღეს ამ ხელისუფლებაში არიან. არიან პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები, უმრავლესობის ლიდერები, კომიტეტის თავმჯდომარეები. მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, ეს მოხდა. ეს ხალხი 2012 წლის პირველ ოქტომბერს არ მახსოვს. მახსოვს გია ვოლსკი უკვე ნამინისტრალი და სააკაშვილზე გაბრაზებული, რადგან სამსახურიდან გამოაგდო.

– „ლელოს“ ინიციატივაზე მინდა გკითხოთ. მათ რეზოლუციის ტექსტი დაარეგისტრირეს პარლამენტში, რომელიც უკრაინაში კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზეა. თუმცა, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ „ომის პარტიის“ არც ერთ აზრს არ გავითვალისწინებთო. როგორი უნდა იყოს ოპოზიციის პოზიცია?

– ყველაფერი გასაგებია. ნაციონალური მოძრაობა ომის პარტია თუ იყო, ივანიშვილთან კითხვა მაქვს: 2008 წლის შემდეგ რატომ არ განუდგა სააკაშვილს და რატომ არ გადავიდა ოპოზიციაში, 2012 წელამდე რას ელოდებოდა?!

მე არ ვებრძვი ოპოზიციას, მე ხელისუფლებას ვებრძვი. ამიტომ ძალიან მომწონს „ლელოს“ ეს რეზოლუცია. რასაკვირველია, „ქართული ოცნება“ საერთოდ არაფრად არ ჩააგდებს ამ რეზოლუციას. მეტიც, ასეთი ეპითეტებით შეამკობს და ეს საერთოდ არ მიკვირს. სიმართლე გითხრათ, პირიქით რომ ყოფილიყო, ეს იქნებოდა მოულოდნელობა. ცოტათი დავიბნეოდი კიდეც და ვიკითხავდი, ნეტა, რა ხდება?! ახლა ყველაფერი ისე მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს.

ამ გველეშაპს პუტინის სახით, დაამარცხებს უკრაინელი გმირი ხალხი, დაამარცხებს დასავლეთთან ერთად. ჩვენც დავამარცხებთ ამ ხელისუფლებას და ჩვენც განვთავისუფლდებით ამ ბოროტებისგან და ნატოშიც შევალთ და ევროკავშირშიც გავწევრიანდებით. ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება. შეუძლებელია ამ წესრიგის ნაწილი არ იყოს საქართველო. სხვაგვარად, უბრალოდ, შეუძლებელია. სამწუხაროდ, ათი წელი დამჭირდა, ქვეყანასაც იგივე დრო დასჭირდა, რომ მიმხვდარიყო, შეცდომა დავუშვით. მილიარდერი არ უნდა მოგვეყვანა ხელისუფლებაში. ეს დიდი დანაშაული იყო. ქვეყანა გაჩერებულია.

ოკუპანტ რუსეთს თურქეთთან და ისრაელთანაც დაეძაბა ურთიერთობა

„ქალებსა და ბავშვებზე ძალადობისათვის რუსეთის ჯარისკაცებს აჯილდოვებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

ბუჩაში დატრიალებული საშინელების გახმაურების შემდეგ გაჩნდა ეჭვი, შესაძლებელია თუ არა რუსეთთან დიალოგი? არსებობს თუ არა შანსი, რომ კრემლს შეიძლება უკრაინაში მიმდინარე ომის დამთავრებაზე მოელაპარაკო?

ამ საკითხზე ნატოს წევრ სახელმწიფოებში ერთსულოვნება არ არის. პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ კიდევ ერთხელ გამოხატა პოლონეთის პოზიცია და განაცხადა, რომ რუსეთთან დიალოგს აზრი არა აქვს. პოლონეთის პრეზიდენტმა წინა წლების რუსული აგრესიის კონტექსტში საქართველოც ახსენა:

– რუსეთი თავს დაესხა უკრაინას 2014 წელს. მანამდე ის თავს დაესხა საქართველოს. ეს შეტევები არაპროვოცირებული იყო. მაშინ სულ გვესმოდა: აუცილებელია რუსეთთან დიალოგის შენარჩუნება. რუსეთთან დიალოგს აზრი არა აქვს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ძალიან მკაცრი პირობები უნდა წავუყენოთ. უნდა გამოვუცხადოთ: სანამ ამ პირობებს არ დათანხმდებით, ვერაფერზე ვისაუბრებთ.

მიმდინარე პროცესები საქართველოს ბევრი კუთხით ეხება. მით უმეტეს, რომ რუსეთის ფედერაცია, რომელმაც მოახდინა ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია და აღიარება, ამზადებს მის ანექსიას. რუსეთთან მიერთების საკითხზე ცხინვალში იგეგმება რეფერენდუმი, რომლის მოსაწყობად ცხინვალის ე. წ. ცესკოში განაცხადი უკვე შევიდა.

ევროპაში არიან რუსეთთან დიალოგის მოსურნე სახელმწიფოებიც. ერთ-ერთი მათგანია საფრანგეთი, რომლის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აღაშფოთა პოლონეთის პრემიერის, მატეუშ მორავეცკის კრიტიკამ მაკრონის პუტინთან მუდმივი დიალოგის თაობაზე.

მაკრონი:

– ყოველთვის ვიყავი ღია რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტ პუტინთან საფრანგეთის სახელით მუდმივად საუბარი სწორია. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ავაშენოთ უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა ევროპაში.

ანალიტიკოსების შეფასებით, რუსეთთან დიალოგისა და უკრაინა-რუსეთს შორის შუამავლობის მოსურნეებს სხვადასხვა მიზანი ამოძრავებთ. სახელმწიფოების ერთ ჯგუფს სჯერა, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ადვილად მოსაგვარებელია, ვინაიდან რუსებსა და უკრაინელებს ერთმანეთთან ფუნდამენტალური წინააღმდეგობები არ გააჩნიათ. მეორე ჯგუფს თავისი შუამავლობით მსოფლიოში თავის გამოჩენა და დამკვიდრება უნდა. სახელმწიფოების მესამე ჯგუფისთვის ძალიან მტკივნეულია რუსეთისთვის გამოცხადებული სანქციები, რაც ნეგატიურად აისახება მათი ქვეყნების ეკონომიკაზე. ისინი ელიან კონფლიქტის დამთავრებას და სანქციების მოხსნას.

რუსეთ-უკრაინის დელეგაციები ერთმანეთს სტამბოლში შეხვდნენ. თურქეთის პრეზიდენტმა ამ დიალოგში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

თუ დიალოგი გაგრძელდა, დიდი ალბათობით, ის სხვა ადგილას გაიმართება. რუსეთში იზრდება აგრესია და უკმაყოფილება თურქეთის მიმართ. ამას ადასტურებს ანტითურქული განცხადებები ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან. ოფიციალური პირები მწვავე გამონათქვამებს ერიდებიან.

ექსპერტ ანდრეი არეშევის თქმით, თურქეთს უკრაინელი ხალხის, ასევე დონბასისა და ლუგანსკის ბედი არ აღელვებს. მისი მიზანია მოახდინოს თავისი შუამავლობის კაპიტალიზაცია. გარდა ამისა, ანკარას სხვა ამოცანები აქვს.

არეშევის მტკიცებით, სტამბოლის მოლაპარაკების პარალელურად მუსირებდა ხმები ფრანგულ-თურქულ „ჰუმანიტარულ მისიაზე“ მარიუპოლში. ქალაქიდან იგეგმებოდა „აზოვის“ ბატალიონის ევაკუაცია.

რუსეთში „აზოვს“ ტერორისტებად და ნეონაცისტურ დაჯგუფებად მიიჩნევენ. ექსპერტი „აზოვს“ ასე მოიხსენიებს.

არშევი საუბრობს უკრაინულ-თურქულ სამხედრო თანამშრომლობაზე, რაც ისედაც ცნობილია. ამასთან, იგი ამბობს, რომ დონბასის თავზე „ბაირაქტარების“ ოპერატორები თურქი სამხედროები იყვნენ.

რუსი ექსპერტი თურქეთის სასანქციო პოლიტიკასაც იწუნებს. თურქეთს რუსეთისთვის ორმხრივი სანქციები არ გამოუცხადებია, თუმცა რუსები ამით ვერ მოიმადლიერა.

– ერთი მხრივ, თურქული ბრენდები ემზადებიან რუსეთის სამომხმარებლო ბაზრის ექსპანსიისათვის. ხდება თურქეთის მთავრობის რიტორიკული დისტანცირება რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებიდან. მეორე მხრივ, არის შეზღუდვები. მაგალითად, რუსეთის ფიზიკური და იურიდიული პირები ვერ ხსნიან ანგარიშებს თურქეთის კომერციულ ბანკებში. თურქეთის მედია გავსებული უკრაინული ფეიკებით, – აღნიშნავს რუსი ექსპერტი.

უკრაინისადმი სიმპათიებში რუსები ისრაელსაც ამხელენ. დიპლომატი, მეცნიერი სერგეი ივანოვი აღშფოთებულია ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის, იაირ ლაპიდის სიტყვებით. ლაპიდმა სამართლიანად განაცხადა, რომ რუსეთის შეჭრის რაიმეთი გამართლება უკრაინაში შეუძლებელია“.

დიპლომატის თქმით, ამგვარი შეფასება რომ დასავლეთის წარმომადგენლებიდან მომდინარეობდეს, საყურადღებო არ იქნებოდა.

დიპლომატი ივანოვი:

– ეს არის ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრი. ისრაელი ჩვენი პარტნიორია. მასთან რუსეთს მრავალმხრივი ურთიერთობები აკავშირებს. ამიტომ, ეს დასანანია. ასეთი შეფასებები ისრაელის მიმართ ნდობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

იმ ქვეყნის პოზიციის გაზიარებას, რომელიც მშვიდობიან მოსახლეობას აწამებს და ხოცავს, ალბათ, სულ უფრო ნაკლები ქვეყანა გაბედავს. რუსეთის მცდელობა, დაამტკიცოს, რომ მშვიდობისმყოფელია, ცინიკურად გამოიყურება. ბლოგერი იური ხრისტენზენი რუსულ პროპაგანდას უკრაინის ომზე საბჭოთა პროპაგანდას ადარებს.

იური ხრისტენზენი:

– რუსული პროპაგანდა საბჭოთა პროპაგანდის მემკვიდრეა. მათთვის ყველაფერი უკრაინული აშშ-დან მართული ნაციზმია, რომელიც ექვემდებარება განადგურებას. რუსეთის ჯარი განიხილება, როგორც აბსოლუტური ბოროტებისაგან მხსნელი. საბჭოთა კავშირშიც ატყუებდნენ საბჭოთა ჯარისკაცებს. დღევანდელი რუსი ჯარისკაცი წაკითხული წიგნების რაოდენობით ჩამოუვარდება საბჭოთა ჯარისკაცს, სამაგიეროდ, ცინიზმითა და სისასტიკით უსწრებს. საბჭოთა ჯარში ქალებსა და ბავშვებზე ძალადობისთვის სასჯელი არსებობდა, რუსეთის ჯარში კი ამისათვის ჯილდოებს, პრემიებსა და დაწინაურებას იღებენ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუს შეხვდა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე. აღინიშნა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სანდო მეგობარია, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობა მაღალ ნიშნულზეა და მნიშვნელოვანია, რომ არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი უწყებების ნაყოფიერ თანამშრომლობას. საუბარი ასევე შეეხო სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ ვითარებაზე უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გავლენას და ხაზი გაესვა რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის მხარდაჭერის აუცილებლობას, რაც, მთავრობის მეთაურის თქმით, უმთავრესი წინაპირობაა რეგიონში განვითარებისა და კეთილდღეობისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პრემიერ-მინისტრის „მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა“, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამივე ქვეყნის მონაწილეობას ითვალისწინებს.

პრემიერ-მინისტრმა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ევროატლანტიკური მისწრაფებების ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

სულეიმან სოილუმ ირაკლი ღარიბაშვილს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანისგან გულითადი მოკითხვა გადასცა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ფატმა ჯერენ იაზგანი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური ესწრებოდნენ.

„ეროვნულ ხელისუფლებას 30 წელია რეჟიმი სასტიკად გვექცევა“

გელა ჩორგოლაშვილი: „ხელისუფლებაში მშვიდობიანი გზით მოვედით და ყოველთვის მშვიდობიანი მოქმედების მომხრეები ვიყავით. ამ პოზიციას დღემდე ვინარჩუნებთ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი გელა ჩორგოლაშვილი პასუხობს.

– ბატონო გელა, 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა რუსულმა იმპერიამ თბილისში ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს ქართველმა ერმა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით შეძლო კონსოლიდაცია და დაღუპულთა სულების პატივსაცემად, დამოუკიდებლობა აღადგინა, ანუ 9 აპრილი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეც არის. თქვენ იმ მოვლენების მონაწილე ხართ, ხელი გაქვთ მოწერილი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. დღეს რას ფიქრობთ?

– 1989 წლის 9 აპრილი ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი და ერთიანი ეროვნული გონის ტრიუმფია თავისუფლებისკენ, ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისკენ, სახელმწიფოს სუვერენიტეტისკენ ერის სწრაფვის ჭეშმარიტი დადასტურებაა. მაშინ სიკეთის გამარჯვების გარდაუვალობამ ქართველი ხალხი რწმენით აღავსო.

– საბჭოთა იმპერიის ნგრევას პუტინმა გეოპოლიტიკური კატასტროფა უწოდა.

– 1991 წლის 9 აპრილთან დაკავშირებით ზვიადმა თქვა, რომ ეს იყო დღე უდიდესი სიმძიმისა და გლოვისა, ეს იყო დღე უდიდესი მორალური გამარჯვებისა. ასე განმარტავს 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის ტექსტის შემოქმედი და, საერთოდ, ამ იდეის აღმასრულებელი ბატონი ზვიადი ამ დღის მნიშვნელობას.

– თუმცა, გარკვეული პროცესების შედეგ (ვგულისხმობ სახელმწიფო გადატრიალებას) ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა სპექტრმა და ხელისუფლებებმა 9 აპრილი დამოუკიდებლობის დღედ ვერ აღიარა.

– თავის დროზე ბატონი ზვიადი განმარტავდა, რომ თუ გინდა ერი მოსპო, არა მხოლოდ წარსული უნდა დაავიწყო, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც. 1989-90-91 წლები ძალიან სერიოზულ პრობლემას უქმნის იმპერიის მესვეურებს. ამიტომ ცდილობენ, ეს ორი წელი ჩვენი მეხსიერებიდან ამოშალონ. მარტო თარიღები დატოვეს – 31 მარტი, 9 აპრილი. ამ თარიღების შემოქმედი ერი, შემოქმედი ენერგეტიკა და ყველაფერი ნიველირებულია.

– უზენაესი საბჭო, რომელიც გადატრიალებით გააძევეს პოლიტიკური ასპარეზიდან, მიუღებელი იყო შემდგომი ხელისუფლებისთვის. დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, ამ დღის შემოქმედნი არც ახსენდებოდათ. ამ მხრივ ბოლო წლებში სიტუაცია, მგონი, დათბა.

– ახლა შედარებების გაკეთება პროდუქტიული არ იქნება, რადგან ერთიან პროცესთან გვაქვს საქმე. სხვადასხვა ეტაპებია. ამ ეტაპებს იმის მიხედვით, როგორი მიზანი ჰქონდა იმპერიას საქართველოს მიმართ, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად უდგებოდნენ. როცა დასჭირდათ, ეროვნული თანხმობის დეკლარაციაც შექმნეს, მაგრამ, საერთოდ, მცდელობაა, ერს არა მხოლოდ დაავიწყონ თავისი წარსული, არამედ გაუყალბონ კიდეც.

– მოგეხსენებათ, მან, ვინც თქვა, საბჭოთა კავშირის დანგრევა გეოპოლიტიკური კატასტროფა იყოო, თბილისში მოწყობილი გადატრიალების შემდეგ, არაერთხელ მოგვიწყო ხოცვა-ჟლეტა, გენოციდი აფხაზეთსა და ცხინვალში. დღეს ხოცვა-ჟლეტას უკრაინაში აწყობს. 1989 წლის 9 აპრილი დღევანდელობას თუ ეხმიანება?

– როგორ არ ეხმიანება, პირდაპირ კავშირშია. ეს საკითხი უკავშირდება საბჭოთა კავშირის არა მარტო დაშლის პროცესს, არამედ მისი შექმნის საკითხსაც. როგორი კრიმინალურიც იყო მისი შექმნა, ისეთივე კრიმინალური გზით მოხდა მისი დაშლა. ქართველმა ერმა და მისმა პოლიტიკურმა გონიერებამ.

ჩვენ საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში არ მივიღეთ მონაწილეობა, პირდაპირი მნიშვნელობით. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენი ყოფნა თავსმოხვეული უკანონობა და ძალადობა იყო.

– ანუ თქვენ ბელოვეჟში შეკრებას გულისხმობთ?

– დიახ, თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო საბჭოთა კავშირის დაშლა. სინამდვილეში საბჭოთა კავშირი კი არ დაიშალა, არამედ გარკვეული თვალსაზრისით, მისი მოდერნიზება მოხდა. 21 დეკემბერი ითვლება იმ თარიღად, როდესაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დსთ-ს შეუერთდნენ, საქართველოსა და ბალტიის რესპუბლიკების გამოკლებით. 22 დეკემბერს ამ ახალმა წარმონაქმნმა პირდაპირ აჩვენა, რომ სისხლით და ხორცით საბჭოთა იმპერიასთან კავშირშია, იგივე ბოროტებაა. ე.ი. თავისი ბუნება პირველივე დღეს გამოამჟღავნა, რაც დღემდე გრძელდება სხვადასხვა დონეზე.

– სხვათა შორის, საქართველო დსთ-ში აფხაზეთის ომის შემდეგ 1994 წელს შევიდა. 1995 წელს შევარდნაძის ხელისუფლებამ რუსეთს 25 წლით ბაზების საქართველოში დატოვების ხელშეკრულებაც კი გაუფორმა, მაგრამ რუსეთის იმპერია ამით არ დაკმაყოფილდა და ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მოახდინა. 1991 წელს გამსახურდია დსთ-ში შესვლას რომ დათანხმებოდა, რუსეთი მაინც უკმაყოფილო იქნებოდა.

– ზოგი ფიქრობს, რუსეთს რომ მოვფერებოდით, არ დავისჯებოდით. ეს ინტელექტის საკითხია. ეს არის ცნობიერების კნინობითი მდგომარეობა.

– უზენაესი საბჭოს წევრების საკმაოდ დიდი შემადგენლობაა დარჩენილი, მგონი, 130 დეპუტატამდე, რომლებიც 31 მარტს შეიკრიბეთ. რა შეთავაზებები გაქვთ?

– 2008 წელს შევქმენით „დეპუტატთა კლუბი“. 2008 წლის შემდეგ, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით პერმანენტულად შეხვედრებს ვაწყობთ. 31 მარტი, 9 აპრილი, 28 ოქტომბერი ის თარიღებია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ჩვენი ხელისუფლების მოღვაწეობას.

მოგეხსენებათ, არსებული სისტემა არ ტოვებს ეროვნული თანხმობისა და ეროვნული სიმშვიდის შესაძლებლობებს. ეს არის დაპირისპირების, სიძულვილის, ერთმანეთის ქილიკის, ზიზღის სისტემა. პრაქტიკულად ასეთია მოცემულობა.

– ეს იმის ბრალიც ხომ არ არის, რომ ძირითადი ოპოზიციური ძალა დისკრედიტირებულია. მას პოლიტიკური ბიოგრაფია დაბინძურებული აქვს?

– ყალბი ინფორმაციები, ცრუ მიმართულებების შექმნა, ცრუ იმედების გაჩენა ცნობიერებას ძალიან ვნებს. არსებული ოპოზიცია ძირითადად წინა ხელისუფლებაა. ძალიან რთულია იმის თქმა, რომ წინა ხელისუფლება, იმის წინა ხელისუფლება და, საერთოდ, ყველა ხელისუფლება, რომელიც 1991 წლის 22 დეკემბრიდან საქართველოშია, ქართველი ერისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

6 იანვარს არა მარტო ერთი ადამიანი, პრეზიდენტი დაამხეს, არამედ, ყველაფერი გააჩერეს. პრეზიდენტი არ მოსწონდათ, დაამხეს პრეზიდენტი, გადააყენეს მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა გააჩერეს და, საერთოდ, ყველა სახელმწიფო ინსტიტუცია გააუქმეს. პრაქტიკულად, მოახდინეს საქართველოს სახელმწიფოს ლიკვიდაცია და ახალი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყეს.

– კრიმინალებმა სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყეს?

– კრიმინალური გზით მოვიდნენ. კრიმინალური არჩევანი დღემდე არის ქართული სახელმწიფოს არშემდგრობის გამომწვევი მიზეზი. გადატრიალების შემდეგ, 30 წლის მანძილზე, საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა თავისი ტაქტიკა და სტრატეგია, როგორ უნდა გადაერჩინა სახელმწიფოს უწყვეტობა, ხელისუფლების უწყვეტობა.

ეროვნულ ხელისუფლებას და მის მემკვიდრეობას 30 წლის განმავლობაში რეჟიმი ძალიან სასტიკად მოექცა. ამიტომ დღეს უზენაესი საბჭოს დეპუტაციისაგან საზოგადოება დისტანცირებულია. თუმცა, საქართველოში ეროვნული ხელისუფლების სტრუქტურები არსებობს. ეს სივრცე შენარჩუნებულია. ჩვენ ვეცადეთ, ამ უწყვეტობის საკითხში ჩვენი წვლილი შეგვეტანა.

– სამართალმემკვიდრეობის უწყვეტობაზე საუბრობთ?

– დიახ, ხელისუფლების უწყვეტობაზე ვსაუბრობ. ხელისუფლებაში მშვიდობიანი გზით მოვედით და ყოველთვის მშვიდობიანი მოქმედების მომხრეები ვიყავით. ამ პოზიციას დღემდე ვინარჩუნებთ.

– თქვით, დღეს თანხმობის სივრცე არ არისო. პრეზიდენტმა ზურაბი შვილმა თანხმობის პროცესი წამოიწყო, მაგრამ არ გამოუვიდა. როგორ ფიქრობთ, თანხმობის სივრცე როგორ უნდა შეიქმნას?

– ძალიან მნიშვნელოვანი შინაარსის მატარებელი წამოწყება იყო. სამწუხაროდ, ეს შინაარსი განხილვის გარეშე დარჩა. აქცენტები უფრო გარეგნულ საკითხებზე გაკეთდა (ვთქვათ, პრეზიდენტის მოქმედების ლეგიტიმურობის საკითხებზე) და მისი მოხსენების შინაარსი შეუმეცნებელი დარჩა.

პრეზიდენტი თავის მოხსენებაში ამბობდა, რომ საქართველოს დრო აღარ აქვს. ეს არის ის დრო, რომელიც, შეიძლება, აღარ დაბრუნდეს. ამიტომ ახალი გზები უნდა გაიხსნას და ჩვენ არსებული შანსი უნდა გამოვიყენოთ. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ წარმატების მიღწევა მხოლოდ ეროვნული თანხმობის პირობებშია შესაძლებელი.

პრეზიდენტის პრობლემა ისაა, თანხმობას ჯიუტად არსებული სისტემის წიაღში ეძებს. არსებული სისტემის წიაღში კი, თანხმობის არანაირი შესაძლებლობა არ არის.

– პოლიტიკური სპექტრი ერთმანეთთან დაპირისპირებული რომ არის და პოლიტიკურ ძალებს შორის ერთმანეთის ძალიან დიდი მიუღებლობაა, ამიტომ?

– თანხმობა არ არის შერიგება, მორიგება, გარიგება. თანხმობა არც ერთობაა. ერთიანობა ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვაა (პრეზიდენტი ამ სიტყვას იყენებს). ეროვნული თანხმობა ემოციონალური საკითხი არ არის. ეროვნული თანხმობა სისტემის საკითხია.

– კონკრეტულ საკითხებზე შეთანხმებას არ ნიშნავს?

– თანხმობა სახელმწიფო მართვის სისტემაზე შეთანხმებას, მართვის სისტემის აღიარებას ნიშნავს.

პრემიერ-მინისტრი გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონულ დირექტორს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) რეგიონულ დირექტორს მირიანა სპოლიარიჩ ეგერს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს და სამომავლო თანამშრომლობას შეეხო. აღინიშნა, რომ ქართული მხარე აფასებს გაეროს განვითარების პროგრამის წვლილს საქართველოში დემოკრატიული პროცესების გაძლიერების, ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვანია UNDP-ის მხარდაჭერა COVID 19-ის პანდემიის პროცესში და გარემოს დაცვის სფეროში.

ხაზი გაესვა გაეროს განვითარების პროგრამის წვლილს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. ამ კუთხით აღინიშნა გაეროს განვითარების პროგრამის წვლილი ადამიანის უფლებათა ახალი, 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაში.

ყურადღება გამახვილდა UNDP-ის დახმარებაზე საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის კუთხით. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით თანამშრომლობა წლების განმავლობაში წარმატებული იყო და მომავალშიც გაგრძელდება.

შეხვედრაზე განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. აღინიშნა, რომ საქართველო აფასებს გაეროს მხარდაჭერას, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტით დაზარალებული ოჯახების მიმართ, ოკუპირებულ რეგიონებში განხორციელებული ჰუმანიტარული პროექტების მეშვეობით.

საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო სოლიდარობას უცხადებს უკრაინას, ეხმარება ქვეყანას ჰუმანიტარულად და მხარს უჭერს პოლიტიკურად, მათ შორის, ყველა საერთაშორისო ფორმატში. პრემიერმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამეგობრობის უმნიშვნელოვანეს როლს ომის, რაც შეიძლება მალე დასრულებისთვის.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ნიკ ბერესფორდი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე რევაზ ჯაველიძე.

ნატალი საბანაძე: „უკრაინის მთავრობასთან საუბრის გარეშე ჩვენ თამაშგარე მდგომარეობაში მოვხვდებით“

– საქართველოს მთავრობა თავისი პოზიციონირებით რეალურად ზიანს აყენებს ჩვენს ურთიერთობებს პარტნიორებთან.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარის, გიორგი გახარიას მრჩეველმა საერთაშორისო საკითხებში, ევროკავშირში საქართველოს მისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ნატალი საბანაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

ნატალი საბანაძის განცხადებით, „ქართული ოცნების“ ლიდერების საუბარი, რომ უკრაინას „ჩემი მოწინააღმდეგე განაგებს“, ძალიან დამაზიანებელია.

– სანქციებს რაც შეეხება, ეს ლოგიკა გასაგებია, რომ საქართველო არ უნდა გამოვიდეს დაზარალებული. ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველო არ უნდა იყოს გამოყენებული როგორც პლატფორმა სანქციების თავიდან ასაცილებლად. იმ ტიპის სიტყვიერი განცხადებები, რომლებიც მოდის მთავრობისგან, თუნდაც იმის თქმა, რომ დღეს უკრაინაში მთავრობაში არის „ნაციონალური მოძრაობა“, გამოდის აქედან, რომ ჩემი მოწინააღმდეგეა დღეს უკრაინის ხელისუფლებაში. ის ქვეყანა, რომელიც რეალურად არის ჩემი მეგობარი და პარტნიორი, არის ჩემი მოწინააღმდეგე.

მე არ ვიცი, საქართველოს მთავრობა ესაუბრება თუ არა დღეს უკრაინის მთავრობას. ამ საუბრის გარეშე ჩვენ მოვხვდებით თამაშგარე მდგომარეობაში. არა მხოლოდ უსაფრთხოების კონტექსტში, არამედ საუბრის გარეშე ჩვენი ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივაც დაზარალდება.

სწორედ უკრაინის გამო გამოჩნდა შესაძლებლობა იმისათვის, რომ ჩვენ კანდიდატის სტატუსი მოგვანიჭონ. რეალურად უკრაინაა აქ „გამქაჩავი“ ძალა. ამიტომ ჩვენი ინტერესი არაა, რომ არ ვიყოთ მათთან ახლოს. არა იმ გაგებით, რომ საქართველო რაიმე ავანტიურაში ჩაებას, არა, მაგრამ საქართველო სწორედ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იყოს ახლო კავშირში, სამთავრობო დონეზე უკრაინის ხელისუფლებასთან. საუბარი, რომ იქაურობას ჩემი მოწინააღმდეგე განაგებს, არის ძალიან დამაზიანებელი.

ევროკავშირი სამი ქვეყნის მოთხოვნას განიხილავს ერთ პაკეტში, ეს ჩვენ ძალიან გვაწყობს. როდესაც ჩვენი მთავრობის მეთაური საუბრობს, რომ ის გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან, ქვეყნის ინტერესებში თუ არის ისევ ევროკავშირში გაწევრიანება, მაშინ უკრაინასთან და მოლდოვასთან ძალიან ახლო ურთიერთობა არის გადამწყვეტი, – განაცხადა ნატალი საბანაძემ.

ასევე, ნატალია საბანაძემ გადაცემაში ევროპარლამენტის ვებგვერდზე საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს ოფიციალური ანგარიში არაა, თუმცა ეს ანგარიში ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა კვლევით ცენტრს დაუკვეთა და სამომავლოდ ოფიციალური ანგარიშის მომზადებისას მას დაეყრდნობა.

– ეს არ არის ოფიციალური ანგარიში, ეს არის ევროპარლამენტის კვლევითი ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიში. მაგრამ ის თავისი ინიციატივით არ წერს ამ ანგარიშს, ეს ანგარიში შეუკვეთა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა, რომელიც მოამზადებს ოფიციალურ ანგარიშს, შესაბამისად, ის დიდი წილად დაეყრდნობა იმ დასკვნებს და მასალას, რომელიც არის იქ მოყვანილი.

არ არის ხელწამოსაკრავი არც ერთი ანგარიში, რომელიც ქვეყნდება ევროპული სტრუქტურების ჩარჩოს ქვეშ.

საქართველოს არ აქვს დღეს იმის ფუფუნება, რომ იყოს სხვებზე უარესი. ამ ანგარიშის ძირითადი დასკვნა ის არის, რომ ორი წლის წინ საქართველო იყო წამყვანი ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის და დღეს ასე არ არის, მთელ რიგ მონაცემებში საქართველო იხევს უკან და განსაკუთრებით, ეს ეხება დემოკრატიის ხარისხს, – განაცხადა ნატალი საბანაძემ.

„სიმაღლის შიში მაქვს, მაგრამ მე-4 სართულიდან გადმოვხტი“

ლაგუნა ვერეს საქმეზე დაკავებულ ოთხივე პირს პატიმრობა შეეფარდა

„ლაგუნა ვერესთან“ 2 პირის – კონსტანტინე ქობულიასა და ვახტანგ გურგენიძის – მკვლელობისა და კიდევ რამდენიმე ადამიანის დაჭრის ფაქტზე დაკავებულ ოთხივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი გელაშვილმა გამოაცხადა.

ბრალდების მხარე ყველა დაკავებულის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა.

ადვოკატები ბრალდებულების – კობა მეტრეველის, გიორგი გელოვანის, გიორგი ასლანიშვილისა და გიორგი პეტრუშკოს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 20.000, 10.000, 60.000 და 5.000-ლარიანი გირაოს გამოყენებას ითხოვდნენ.

– „კაპეზეში“ კი არა, ფსიქიატრიულში უნდა ვიყო, ისეთი რამ გამოვიარე.

ამის შესახებ „ლაგუნა ვერესთან“ მომხდარი მკვლელობისა და დაჭრის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულმა გიორგი გელოვანმა განაცხადა.

როგორც მან სასამართლო პროცესზე თქვა, ის ახლა აანალიზებს, რომ მომხდარის შესახებ პოლიციისთვის უნდა შეეტყობინებინა.

– აუცილებლად უნდა დამერეკა პოლიციაში, ახლა გეტყვით, რატომ ვერ დავრეკე. სიმაღლის შიში მაქვს და მე-4 სართულიდან გადმოვხტი, არაადამიანურ მდგომარეობაში ვიყავი. „კაპეზეში“ კი არა, ფსიქიატრიულში უნდა ვიყო, ისეთი რამ გამოვიარე. ახლა ვხვდები, რომ უნდა დამერეკა, თორემ იმ მომენტში ამას ვერ ვაანალიზებდი. არც ერთი წუთით არ გამომირთავს ტელეფონი, პირდაპირ გამოვცხადდი პოლიციაში, როცა დამირეკეს, ბიჭებს მადლობა, სადაც მივედი, იქ გამომიყვანეს მდგომარეობიდან, – განაცხადა გელოვანმა.

გელოვანის გათავისუფლებას მისი ადვოკატი, თამარ აბესაძე 60.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ ითხოვდა.

კიდევ ერთი ბრალდებულის, ბიზნესმენ მარლენ მეტონიძის დაცვის კიდევ ერთი წევრის, გიორგი ასლანიშვილის განცხადებით კი, მან დაჭრილ მდგომარეობაში მყოფი მეტონიძე ადგილიდან გაიყვანა, პოლიციაში გამოცხადებას კი მეორე დღეს გეგმავდა.

– სისხლი მოსდიოდა, ჩემი პირდაპირი მოვალეობა იყო, შენობიდან გამეყვანა. მე დავეხმარე, როგორ უნდა გასულიყო. დერეფანში სროლა იყო, ზურგით ვიყავი და შეიძლება მეც მოვმკვდარიყავი, განერვიულებული და შოკურ მდგომარეობაში ვიყავით. იმ მომენტში საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ სიტუაციას გავრიდებოდით. ვიცოდით, რომ პოლიციაში მეორე დღეს უნდა გამოვცხადებულიყავით, – განაცხადა ასლანიშვილმა.

ასლანიშვილის განმარტებით, მას ესმოდა, თუ როგორ რეკავდნენ 112-ში, რის გამოც, ის მეტონიძის გადარჩენას შეეცადა.

კონსტანტინე ქობულიას მკვლელობაში ბრალდებულ კობა მეტრეველის განცხადებით, რომელიც ბიზნესმენ მარლენ მეტონიძის პირადი დაცვაა, ის მკვლელი არ არის.

როგორც სასამართლო პროცესზე მეტრეველმა განაცხადა, გასროლით მან მისი დასაცავი ობიექტი დაიცვა სიკვდილისგან.

– პატიცემულო მოსამართლე, მე მკვლელი არ ვარ, მე დავიცავი დასაცავი ობიექტი, ჩემი და გვერდით მყოფი პირების სიცოცხლე, – განაცხადა მეტრეველმა.

მისი ადვოკატის თეონა გვაზავას განცხადებით, მეტრეველი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა და არავის მკვლელობა არ ჰქონდა განზრახული.

ადვოკატის თქმით, გარდაცვლილი პირი მისი დაცვის ქვეშ მყოფისა და სხვების მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღით მირბოდა. ამასთან, ადვოკატის თქმით, ყურადსაღებია ბრალდებულის სტატუსი – ის დაზარალებულის პირადი დაცვა იყო და ვალდებული იყო, ღია საფრთხის პირისპირ მისი სიცოცხლის დაცვა მოეხდინა.

გვაზავას თქმით, მეტრეველს დაჭრილი მეტონიძე უნდა დაეცვა.

ცნობისთვის, 3 აპრილს, თბილისში, „ლაგუნა ვერესთან“, გიორგი ქველიაშვილის კუთვნილი საგზაო კომპანიის ოფისში, სადაც ორმხრივი სროლა იყო, რამდენიმე ადამიანი დაჭრეს, 2 პირი – კონსტანტინე ქობულია და ვახტანგ გურგენიძე კი მოკლეს. კონსტანტინე ქობულია ეკონომიკის ყოფილი მინისტრის გიორგი ქობულიას ძმა იყო.

არსებული ინფორმაციით, გიორგი ქველიაშვილის ოფისში კონსტანტინე ქობულიასთან და ვახტანგ გურგენიძესთან სასაუბროდ მათი ნაცნობი – ბიზნესმენი მარლენ მეტონიძე 17 ადამიანთან ერთად მივიდა, რომელთაგანაც 5 პირი მისი პირადი დაცვა იყო. სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ, კონსტანტინე ქობულიამ ბიზნესმენ მეტონიძისა და მისი თანმხლები პირების მისამართით გასროლა განახორციელა, რის შედეგადაც მარლენ მეტონიძე, ოთარ ბარკალაია და დავით ცისკარიშვილი დაიჭრნენ.

აღნიშნული დაპირისპირებისას ბიზნესმენის დაცვის წევრმა კობა მეტრეველმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელა, რასაც კონსტანტინე ქობულიას სიცოცხლე ემსხვერპლა. დაუდგენელია პირი, რომლის გასროლითაც ვახტანგ გურგენიძე გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, მარლენ მეტონიძე შეხვედრის ადგილზე ჯავშანჟილეტით იყო მისული. დაუზუსტებელი ცნობით, ოფისში, სადაც სისხლიან გარჩევაში მონაწილე პირები მივიდნენ, იატაკზე პოლიეთილენის ცელოფნები იყო მოფენილი, რაც, შესაძლოა, მკვლელობის წინასწარ განზრახვაზე მიუთითებდეს.

კონფლიქტში დაახლოებით, 20 პირი მონაწილეობდა. პროკურატურა შესაძლო დამნაშავე პირთა წრის გაზრდას არ გამორიცხავს. საერთო ჯამში, საქმეზე 5 პირია დაკავებული, მათ შორის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს გიორგი გელოვანი, გიორგი ასლანიშვილი და გიორგი პეტრუშკო. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია კობა მეტრეველი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით კი – გიორგი ქველიაშვილი.

შემოსავლების სამსახური: „საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით 19 სატვირთო, არასამხედრო კამაზი შემოვიდა“

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური განცხადებას ავრცელებს და აცხადებს, რომ გასული 1 კვირის მანძილზე, სასაზღვრო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ გავლით საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტულად, რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით, სომხეთში რეგისტრირებული იურიდიული პირის კუთვნილი 19 ერთეული კამაზის მარკის სატვირთო (არასამხედრო) ავტომობილი შემოვიდა.

ამით უწყება ეხმაურება ერთ-ერთ მედიაში გავრცელებულ კადრებს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, წესების სრული დაცვით, სატვირთო ავტომობილები რეგისტრაციაში გატარდა და დანიშნულების ქვეყნის მიმართულებით იქნა გაშვებული.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური კატეგორიულად აცხადებს, რომ ქვეყნის ყველა საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, ნებისმიერი ტიპის საქონელი როგორც სამხედრო, ისე ორმაგი დანიშნულების, ასევე ყველა ის პროდუქცია, რომელიც მოხვედრილია სანქციების სიაში, ექვემდებარება მკაცრ საბაჟო კონტროლს საქართველოს ხელისუფლების მიერ.

რაც შეეხება ტელეკომპანია „ფორმულას“ მიერ ცოტა ხნის წინ გავრცელებულ კადრებს – ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საზოგადოებისთვის განმარტავს, რომ გასული 1 კვირის მანძილზე, სგპ „ყაზბეგის“ გავლით საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტულად (რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით) შემოვიდა სომხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული იურიდიული პირის კუთვნილი 19 ერთეული კამაზის მარკის სატვირთო (არასამხედრო) ავტომობილი.

საქართველოსა და საერთაშორისო საბაჟო წესების სრული დაცვით, სატვირთო ავტომობილები გატარდა რეგისტრაციაში და გაშვებულ იქნა დანიშნულების ქვეყნის მიმართულებით.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მოუწოდებს მედიასაშუალებებს, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი მასალის გავრცელებისგან და ინფორმაცია გადაამოწმონ შესაბამის სამსახურებთან“, – ნათქვამია განცხადებაში.

ბოლნისის სასამართლომ „ქურდული სამყაროს“ წევრობაში ბრალდებული 8 პირი დამნაშავედ ცნო

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ, პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერაში ბრალდებული რვა პირი დამნაშავედ ცნო.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, პროკურატურის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ი.გ., თ.ნ., გ.ჯ., ა.ჯ. და ზ.ა. ცნობდნენ და აღიარებდნენ „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილ, თვითაღიარებულ სპეციალურ წესებს და დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდნენ „კანონიერ ქურდებთან“ და „ქურდული სამყაროს“ სხვა წევრებთან. ისინი აქტიურად მოქმედებდნენ „ქურდული სამყაროს“ მიზნების განსახორციელებლად, მათ შორის, კონკრეტული დავების „ქურდული წესით“ გადასაწყვეტად და ძალადობრივი ქმედებების განსახორციელებლად „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდამჭერებს დანაშაულებრივ დაკვეთას აძლევდნენ. გ.რ., ნ.ი., და ბ.ა. გამოხატავდნენ რა „ქურდული სამყაროს“ საჯარო მხარდაჭერას, აქტიური ქმედებებით ხელს უწყობდნენ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებას და ასრულებდნენ დანაშაულებრივ დაკვეთებს.

„ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო – გ.ჯ., ი.გ., თ.ნ. და ზ.ა. „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის და სასჯელის სახედ და ზომად, გ.ჯ.-ს 8 წლით, ი.გ.-ს 7 წლით და 6 თვით, თ.ნ.-ს 7 წლით, ხოლო ზ.ა.-ს 8 წლით და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ა.ჯ. დამნაშავედ იქნა ცნობილი ქურდული სამყაროს წევრობის, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა/შენახვისთვის და 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა;

გ.რ., ნ.ი. და ბ.ა. დამნაშავედ იქნენ ცნობილნი „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისთვის და სასჯელის სახედ და ზომად, გ.რ.-ს 5 წლით, ნ.ი.-ს 3 წლით და 6 თვით, ხოლო ბ.ა.-ს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

საქართველოს პროკურატურა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს.

ავარია ლაგოდეხში

1 ადამიანი გარდაიცვალა

მსხვერპლით დასრულდა 6 აპრილს ავტოსაგზაო შემთხვევა ლაგოდეხში. შემთხვევა ლაგოდეხი-წნორის დამაკავშირებელ გზაზე მოხდა.

მსუბუქი ავტომანქანების შეჯახების შედეგად, 70 წლამდე ასაკის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, ორი ადამიანი კი დაშავდა.

დაშავებულები სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ლაგოდეხის „არქიმედეს“ კლინიკაში გადაიყვანა.

ექიმების განმარტებით, პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები და ექსპერტ-კრიმინალისტები იმყოფებოდნენ.

ვახტანგ გომელაურმა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს უმასპინძლა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი სულეიმან სოილუ, მაღალი დონის დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური თურქ კოლეგას აეროპორტში დახვდა და შინაგან საქმეთა სამინისტროში უმასპინძლა.

ვიზიტის ფარგლებში ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ოფიციალური შეხვედრა გამართეს, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე – შალვა ბედოიძე ესწრებოდა.

ოფიციალური შეხვედრის დასრულების შემდეგ, მხარეებს შორის გაფართოებული შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე აღინიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები. სულეიმან სოილუმ ქართულ მხარეს კიდევ ერთხელ დაუდასტურა მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, რისთვისაც ვახტანგ გომელაურმა თურქ კოლეგას მადლობა გადაუხადა.

– მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ პრეზიდენტს, თურქეთს, ჩვენი გვერდით დგომისთვის, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის.

მოგეხსენებათ, გვაქვს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები, საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მინდა, ხაზი გავუსვა ჩვენს მჭიდრო თანამშრომლობას. მზად ვართ, კიდევ უფრო გავაღრმავოთ ურთიერთობები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: საზღვრის დაცვა, ორგანიზებული დანაშაულისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

კარგად გვახსოვს თურქი ხალხის გვერდში დგომა ყოველთვის და ამისთვის, მინდა, დიდი პატივისცემით, კიდევ ერთხელ გულწრფელად გითხრათ მადლობა, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

თავის მხრივ, სულეიმან სოილუმ მადლობა გადაუხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მასპინძლობისთვის.

– მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ მინისტრს გულთბილი მასპინძლობისთვის. ძალიან ნაყოფიერი პირისპირ შეხვედრა გვქონდა.

ჩვენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა პლატფორმაზე ვიცავდით, ვიცავთ და მომავალშიც დავიცავთ.

ეს ეხება ასევე უკრაინასაც. ასეთ რთულ ვითარებაში, ჩვენი პრეზიდენტის, ბატონ რეჯეფ ტაიფ ერდოღანის ლიდერობით, ვცდილობთ, შევასრულოთ შუამავლის როლი, რათა რეგიონში და ზოგადად, ამ კონფლიქტში შევასრულოთ დადებითი როლი, რომ რაღაცნაირად დავასრულოთ იგი.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ მსგავს პოზიციას იკავებს საქართველოს ხელისუფლება და თქვენი ქვეყანა ამ კონფლიქტთან დაკავშირებით, – აღნიშნა სულეიმან სოილუმ.

მხარეებმა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის ეფექტიან თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ რეგიონში არსებული ვითარების გათვალისწინებით, ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს პოლიციის ატაშეების წვლილს ორი სახელმწიფოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული მჭიდრო და ნაყოფიერი ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებაში. თურქულმა მხარემ სამომავლო სამუშაო ვიზიტების და ერთობლივი წვრთნების ჩატარების მზაობა გამოთქვა ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: საზღვრის დაცვა, ორგანიზებულ დანაშაულთან და კიბერდანაშაულთან ბრძოლა.

ვახტანგ გომელაურმა ყურადღება გაამახვილა უსაფრთხოების სფეროში ერთობლივი კომისიის საქმიანობის მნიშვნელობაზე, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება და ორგანიზებულ დანაშაულთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობასთან, ტერორიზმსა და სხვა მნიშვნელოვან დანაშაულებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს.

მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ კომისიის მორიგი სხდომის ჩატარება უახლოეს მომავალში შესაძლებელი გახდება.

შეხვედრის დასასრულს, თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქართული მხარე საპასუხო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში მიიპატიჟა.

დმიტრო კულება: „ჩვენ გვჭირდება მეტი იარაღი“

– ჩემი დღის წესრიგი ძალიან მარტივია. ეს არის იარაღი, იარაღი და იარაღი.

ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ჟურნალისტებს განუცხადა, სადაც ნატოსა და „დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრებმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები და უკრაინის მხარდასაჭერი გზები განიხილეს.

უკრაინის პირველი დიპლომატის თქმით, მისი ქვეყნისთვის იარაღის მიწოდება საუკეთესო გზა იყო „პუტინის შესაკავებლად და რუსული არმიის დასამარცხებლად უკრაინაში“.

– უკრაინის არმიამ და მთელმა უკრაინელმა ერმა აჩვენა, რომ ჩვენ ვიცით, როგორ ვიბრძოლოთ. ჩვენ ვიცით, როგორ მოვიგოთ. რაც უფრო მეტ იარაღს მივიღებთ და რაც უფრო მალე ჩავა ის უკრაინაში, მით უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლე გადარჩება, მით მეტი ქალაქი და სოფელი არ განადგურდება და აღარ იქნება მეტი ბუჩა, – დასძინა კულებამ.

უკრაინის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ნატოს და „დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრებს მოუწოდა, უყოყმანოდ მიაწოდონ უკრაინას ყველაფერი, რაც მას სჭირდება, მისივე თქმით, „რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, დღეს იარაღი მშვიდობის მიზანს ემსახურება“.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ნატოს წევრი ქვეყნები უკრაინას აღჭურვილობის მიწოდებით მხარს უჭერენ, რათა დაიცვან მისი თავდაცვის უფლება, რომელიც გაეროს ქარტიითაა დაცული.

სტოლტენბერგი დარწმუნებულია, რომ ნატო „განიხილავს მეტი საჰაერო თავდაცვის სისტემის, ტანკსაწინააღმდეგო იარაღის, მსუბუქი, მაგრამ ასევე მძიმე იარაღის და უკრაინის მრავალი სხვადასხვა სახის მხარდაჭერის საჭიროებას“.

მარიუპოლში 5.000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, მათ შორის 210 ბავშვი

ქალაქის მერის განცხადება

მარიუპოლის მერის ვადიმ ბოიჩენკოს განცხადებით, ომის დაწყებიდან რეგიონში 5.000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის 210 ბავშვი გარდაიცვალა.

ვადიმ ბოიჩენკომ აღნიშნა, რომ რუსეთის ძალებმა დაბომბეს საავადმყოფოები, მათ შორის ერთ-ერთში 50 ადამიანი დაიწვა.

ბოიჩენკომ ასევე განაცხადა, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურის 90%-ზე მეტი რუსული დაბომბვების გამო განადგურებულია.

ოთხშაბათს დაახლოებით 1.000-მა ადამიანმა შეძლო ალყაში მოქცეული საპორტო ქალაქიდან გასვლა ავტობუსებისა და კერძო მანქანების კოლონით, რომელიც ორგანიზებული იყო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

ისინი ახლა უკრაინის მიერ კონტროლირებად ქალაქ ზაპოროჟიეში იმყოფებიან.

წითელი ჯვრის გუნდი ხუთი დღის განმავლობაში ცდილობდა მარიუპოლამდე მისვლას, თუმცა რუსების მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო ვერ ახერხებდნენ ქალაქში შესვლას.

უკრაინის ოფიციალური პირების განცხადებით, ქალაქში ბოლო 24 საათში 118 საჰაერო თავდასხმა განხორციელდა.

მათი თქმით, რუსი ჯარისკაცები გვამებს აგროვებენ, რათა ომის დანაშაულის მტკიცებულებები მობილური კრემატორიუმით გაანადგურონ.

ავსტრიამ ოთხი რუსი დიპლომატი გააძევა

ავსტრიამ ოთხი რუსი დიპლომატი „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადა და მათი „დიპლომატიური სტატუსის შეუსაბამო“ ქმედებების გამო გააძევა.

ამის შესახებ ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 7 აპრილს გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

გაძევებულმა რუსმა დიპლომატებმა ქვეყანა არაუგვიანეს 12 აპრილამდე უნდა დატოვონ.

ავსტრიის საგარეო უწყების ცნობით, სამი დიპლომატი ვენაში რუსეთის საელჩოს თანამშრომელი იყო, ხოლო გაძევებული კიდევ ერთი დიპლომატი ზალცბურგში რუსეთის საკონსულოში მუშაობდა.

შეგახსენებთ, რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ, მათ შორის ესპანეთმა, იტალიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ და შვედეთმა რუსი დიპლომატები გააძევეს.

რუსი დიპლომატების გაძევებას გამოეხმაურა კრემლის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ეს „აუცილებლად გამოიწვევს საპასუხო ნაბიჯებს“.

ვლადიმერ ჟირინოვსკი გარდაიცვალა

რუსეთის „ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ინფორმაციას რუსული მედია სახელმწიფო დუმის სპიკერის, ვიაჩესლავ ვოლოდინის განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

– ვლადიმერ ვოლფოვიჩ ჟირინოვსკი მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, – აღნიშნა ვოლოდინმა პლენარულ სხდომაზე.

დეპუტატებმა ჟირინოვსკის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს და სხდომაზე შესვენება გამოაცხადეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალმა მუზეუმიდან შემთხვევით ხელოვნების ნაწარმოები გაიტაცა

ფრანგმა პენსიონერმა ქალმა პიკასოს მუზეუმიდან შემთხვევით გაიტაცა ხელოვნების ნაწარმოები და ციხის საკანში ამოჰყო თავი.

72 წლის ქალი პარიზში პიკასოს მუზეუმში გამოფენაზე მივიდა და ერთ-ერთ კედელზე ჩამოკიდებული ლურჯი ფერის კომბინეზონი შენიშნა. მან იფიქრა, რომ ის იქ ვიღაცას დარჩა და გადაწყვიტა, სახლში წაეღო და იქ მოეზომებინა. კომბინეზონი მისთვის დიდი გამოდგა, რის შემდეგაც მკერავს მიმართა და მისი დამოკლება სთხოვა.

სინამდვილეში აღნიშნული კომბინეზონი 41 წლის ესპანელი მხატვრის ორიოლია ვილანოვის არტ-ობიექტს წარმოადგენდა. მუზეუმიდან მისი გაუჩინარების შემდეგ მუზეუმის ხელმძღვანელობამ პოლიციას მიმართა. რამდენიმე დღის შემდეგ პენსიონერი ქალი ხელოვნების ნაწარმოების ქურდობაში ეჭვმიტანილის სახით დააკავეს. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც ის მუზეუმში დაბრუნდა გამოფენის ხელმეორედ დასათვალიერებლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ხორცის ბურთულების მოპარვისთვის დააჯარიმეს

შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მას შემდეგ დააჯარიმეს, რაც ის სუპერმარკეტში საშობაო ლორისა და ხორცის ბურთულების ქურდობაზე გამოიჭირეს.

სუპერმარკეტის დაცვის თანამშრომლებმა 67 წლის ენ-კრისტინ ლინდებლანდი ჩანთით საშობაო ლორის, ხორცის ბურთულების, სოსისებისა და ყველის ფარულად გამოტანის მცდელობისას დააკავეს. აღნიშნული პროდუქტები მას სხვა ჩანთით ჰქონდა შენიღბული.

ქალი 2002 წლიდან შვედეთის უზენაეს სასამართლოში მუშაობდა და თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ მის მიმართ გამოძიება იყო დაწყებული.

– ის ძალიან ნანობს ჩადენილ საქციელს, განაცხადა ლინდებლანდის ადვოკატმა იოჰან ერიქსენმა და იქვე დაამატა, რომ მას წვრილმანი ქურდობის ბრალდება აქვს წაყენებული, – ბოლო დროს ის სერიოზულ ზეწოლას განიცდიდა სამსახურსა და პირად ცხოვრებაში. მას აღარ მიუღია მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს მუშაობაში აღნიშნული ინციდენტის შემდეგ და აღარც შემდეგში აპირებს.

მთავარი პროკურორის პერ ნიკოლასის თქმით, ქალმა აღიარა ფაქტი, თუმცა, ამავე დროს, პროდუქტების ქურდობის განზრახვას უარყოფდა. სასამართლომ ლინდებლანდი 50 ათასი შვედური კრონით დააჯარიმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მისი ნივთები ნაპირზე ნახეს

რუსთავში მტკვარში მამაკაცს ეძებენ

რუსთავში, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს დამაკავშირებელი ცენტრალური ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარში 60 წლამდე ასაკის მამაკაცს ეძებენ.

ადგილზე მობილიზებული არიან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები, საპატრულო და კრიმინალური პოლიცია.

არსებული ინფორმაციით, გამვლელებმა 60 წლამდე ასაკის მამაკაცის ნივთები და პირადობის დამადასტურებელი საბუთი ნაპირზე ნახეს, რის შემდეგაც 112-ში დარეკეს.

სავარაუდოდ, 60 წლამდე კაცი ადიდებულ მდინარეში სუიციდის მიზნით შევიდა.

ავარიაში დაღუპულ ლანჩხუთელ პოლიციელს მამაც ავარიაში დაეღუპა

ლანჩხუთელი პოლიციელი ვაჟა ვენჯელაშვილი, რომელიც ავარიის შედეგად გარდაიცვალა, 7 აპრილს დაკრძალეს.

ეს არ არის ოჯახის პირველი ტრაგედია. ადგილობრივი მედიის ცნობით, 10 წლის წინ, ასევე ავარიით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ვაჟას მამა, ნოდარ ვენჯელაშვილი დაიღუპა. მაშინ ავტომობილი სარკინიგზო გადასასვლელზე გაუჩერდა, ხოლო მატარებლის მოსვლამდე კარის გაღება და გადმოსვლა ვერ მოასწრო.

„იმდენად უსამართლოა ცხოვრება, არ გვაძლევს შანსს, რომ დავემშვიდობოთ, ვუთხრათ თუ როგორ გვიყვარდა, ისე უეცრად და სასტიკად გამოგვაცალა შენი თავი, ვაჟი. ასეთი მწარე სიკვდილისთვის ხომ, მით უმეტეს, ცოდო ხარ. რამხელა ტკივილი ნახე, ძმაო, რამხელა სიმწარე. როგორ ითხოვდი, ვკვდები და გადამარჩინეთო, ვაჟი, სული მეწვის“ – წერს სოციალურ ქსელში გარდაცვლილი პოლიციელის ახლობელი.

მამის მხრიდან სასტიკი მოპყრობის შედეგად მოზარდს უნებლიე შარდვა დაეწყო

„კურიერის“ ექსკლუზივი და ვიდეომასალა, რომელიც 13 წლის ბავშვზე მშობლების ფიზიკურ ძალადობას ასახავს – ვიდეომასალაში ჩანს, რომ ბავშვს მამა ფიზიკურად სასტიკად უსწორდება, როდესაც მოზარდს უნებლიე შარდვა ეწყება, ამის შემხედვარე მშობელი კიდევ უფრო ბრაზდება და მას შარდის სახით გაწმენდას აიძულებს.

ამ საზარელ ისტორიას კიდევ ერთი მძიმე ფაქტი ახლავს, მამის მიერ შვილზე ფიზიკურ და მორალურ ძალადობას დედინაცვალი შანტაჟის მიზნით ტელეფონით იღებს. ძალადობა მოზარდზე კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ არა სკოლა, სადაც ბავშვი დადიოდა. იქ მოზარდს ფიზიკური დაზიანებები შეატყვეს და პოლიციას გამოუძახეს. ორივე მშობელი დაკავებულია, საქმეში ჩართულია საფრანგეთის დიპლომატიური მისია, რადგან მოძალადე მშობლები საფრანგეთის მოქალაქეები არიან

ბავშვზე ძალადობა თბილისის ცენტრალურ უბანში ხდებოდა, სადაც საფრანგეთის მოქალაქე მამაკაცი მეუღლესთან და არასრულწლოვან შვილთან ერთად, თითქმის ორი წელი ცხოვრობდა.

პედაგოგი, რომელმაც გოგონას ალაპარაკება შეძლო, საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმეა.

საქმეში ძალადობის ამსახველი რამდენიმე ვიდეოჩანაწერი დევს. კადრებში ბავშვის სხეულზე დაზიანებებიც ნათლად ჩანს.

ყველა ეს ჩანაწერი ადასტურებს, რომ არასრულწლოვანი ინტენსიური ძალადობის მსხვერპლია. გოგონამ ჩვენება ფსიქოლოგის თანდასწრებით მისცა და მამისა და დედინაცვლის მხრიდან ფიზიკურ ძალადობაზე იქაც ისაუბრა.

სახლში, სადაც 13 წლის გოგონას უსწორდებოდნენ, ახლა არავინაა. აქ მცხოვრებ ოჯახზე არაფერი იციან, თუმცა ბინიდან ყვირილის ხმა მეზობლებს არაერთხელ გაუგიათ.

გენდერული ნიშნით არასრულწლოვანზე ძალადობაში ბრალდებული ცოლ-ქმრის საქმის არსებით განხილვას თბილისის საქალაქო სასამართლო რამდენიმე დღეში დაიწყებს.

დაკავებულები ბრალს ნაწილობრივ აღიარებენ. დანაშაულს კი ბავშვის ცუდი მოქცევით ხსნიან.

მამისა და დედინაცვლის დაკავების შემდეგ, მზრუნველობის გარეშე დარჩენილი გოგონა მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობით, სახელმწიფო ზრუნვაში გადაიყვანეს. „კურიერს“ საგენტოში უთხრეს, რომ მოზარდს ყველა საჭირო დახმარება გაეწია. ახლა კი ბავშვი, საკუთარი სურვილის შესაბამისად, საფრანგეთში გაემგზავრება. მის წასაყვანად, საქართველოში უკვე ჩამოვიდა ბავშვის ბებია.

ძალადობაში ბრალდებულების საქმის განხილვა 11 აპრილს იწყება. მათ 7 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

სპორტი

შედეგები

6 აპრილი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ვილიარეალი-ბაიერნი 1:0
ჩელსი-რეალი 1:3

ინგლისი. პრემიერლიგა

ბარნლი-ევერტონი 3:2

სატესტინიო ცხრილი:

1.სიტი	30	23	4	3	70-18	73
2.ლივერპული	30	22	6	2	77-20	72
3.ჩელსი	29	17	8	4	58-23	59
4.ტოტენჰემი	30	17	3	10	52-37	54
5.არსენალი	29	17	3	9	44-34	54
6.ვესტ ჰემი	31	15	6	10	51-40	51
7.მანჩესტერი	30	14	9	7	49-41	51
8.ვულვზი	31	15	4	12	33-27	49
9.კრ.პალასი	30	8	13	9	42-38	37
10.ლესტერი	28	10	7	11	43-47	37
11.ასტონ ვილა	30	11	3	16	42-42	36
12.საუთჰემპტონი	30	8	12	10	37-46	36
13.ბრაიტონი	30	7	13	10	26-36	34
14.ბრენტფორდი	31	9	6	16	37-48	33
15.ნიუკასლი	30	7	10	13	33-54	31
16.ლიდსი	31	7	9	15	35-68	30
17.ევერტონი	29	7	4	18	32-52	25
18.ბარნლი	29	4	12	13	25-42	24
19.უოტფორდი	30	6	4	20	29-57	22
20.ნორვიჩი	30	4	6	20	18-63	18

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-მაინცი 2:1

სატესტინიო ცხრილი:

1.ბაიერნი	28	21	3	4	85-29	66
2.დორტმუნდი	28	18	3	7	68-42	57
3.ლევერკუზენი	28	15	6	7	68-42	51
4.ლაიფციგი	28	14	6	8	61-31	48
5.ფრაიბურგი	28	12	9	7	44-33	45
6.ჰოფენჰაიმი	28	13	5	10	50-42	44
7.უნიონი	28	11	8	9	34-38	41
8.კიოლნი	28	10	10	8	38-41	40
9.აინტრახტი	28	10	9	9	39-38	39
10.მაინცი	28	11	5	12	41-33	38
11.ბოხუმი	28	10	5	13	30-40	35
12.გლადბახი	28	9	7	12	39-52	34
13.აუგსბურგი	28	8	8	12	34-45	32
14.ვოლფსბურგი	28	9	4	15	29-45	31
15.შტუტგარტი	28	6	9	13	36-51	27
16.არმინია	28	5	11	12	23-39	26
17.ჰერტა	28	7	5	16	30-62	26
18.ფიურტი	28	3	7	18	24-70	16

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველოს თასის ფინალში ქუთაისი და ბათუმი ითამაშებენ

კალათბურთში საქართველოს თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს რეგიონის გუნდები შეხვდებიან. თასის მოქმედი მფლობელი ქუთაისი ტიტულს ბათუმთან დაიცავს. ოთხთა ფინალის ნახევარფინალურ მატჩებს ოლიმპიურმა სასახლემ უმასპინძლა.

ქუთაისი-ოლიმპი

86:84

(24:21, 18:29, 26:18, 18:16)

ეს ნახევარფინალური მატჩი ბევრად დაძაბული გამოდგა, რომელშიც ერთმანეთს თასის წინა გათამაშების ფინალისტები ხვდებოდნენ. შარშანდელ ფინალში იმერულმა კლუბმა ძალიან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ოლიმპი, გამარჯვების მოპოვება ახლაც ძალიან გაუჭირდა.

შეხვედრის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. ლიდერი 15-ჯერ შეიცვალა. უმეტესწილად ოლიმპელები ლიდერობდნენ და ერთ ეპიზოდში 11 ქულითაც დაწინაურდნენ.

მატჩის ბედი ერთმა შეტევამ გადაწყვიტა: ოლიმპელმა კახა ჯინჭარაძემ თანაბარ ანგარიშზე, დასრულებამდე 15 წამი რომ რჩებოდა, სამქულიანი ააცილა. ბურთი ქუთაისელებმა მოხსნეს და ოთარ ფხაკაძემ საჯარიმოს სიახლოვეს პასი აკაკი დვალიშვილს მიაწოდა, რომელმაც გამარჯვების ბურთი ჩააგდო – 86:84.

დვალიშვილი 20 ქულით ბომბარდირი გახდა, რომელსაც ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა. საუკეთესო შედეგი ადრიან ბოუიმ დააფიქსირა – 15 ქულა, 11 პასი, 4 ჩაჭრა. გიორგი კორსანტიამ 13-13 ქულა-მოხსნა მიითვალა, ჯარვის რეის ანგარიშზე კი, 17 ქულა დაგროვდა. ოლიმპში 11 ქულითა და 13 პასით გივი ბაქრაძე გამოირჩა. 20 ქულა და 9 მოხსნით დაასრულა შეხვედრა ილია ლონდარიძემ.

ბათუმი-მეგა 65:55

(22:15, 12;15, 14:12, 17:13)

მე-2 ნახევარფინალში ბათუმმა მეგა 65:55 დაამარცხა. ეს გუნდები ერთმანეთს ახლახან, სუპერლიგის რეგულარულ ჩემპიონატში შეხვდნენ და ბათუმში გამართული მატჩი დამატებით დროში ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა მეგამ მოიგო. ამჯერად გამარჯვება ბათუმელებს დარჩათ.

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა ზღვისპირულმა გუნდმა მთელი შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარა და ლიდერობას პირველ პერიოდში რომ დაეპატრონა, თამაშის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვია.

მეგა მუდმივად კვალში იდგა და ცდილობდა ბათუმელთა წამოწევას, მაგრამ შეხვედრა ისე ჩამთავრდა, თბილისურ გუნდს გამარჯვების შანსი არ მისცემია.

მწირქულიან მატჩში აჭარულ გუნდში საუკეთესო შედეგი სოსო გოგნაძემ დააფიქსირა – 9 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი. 15 ქულითა და 5 პასით კაილრიდლი გამოირჩა. მეგაში 17 ქულით საუკეთესო იყო დენგი აკუთი. 12 ქულა ჯიმონ ჰენსონის ანგარიშზეა.

დინამომ დილა დაამარცხა და პოტენციურად გალიდერდა

ეროვნული ლიგის გადადებული 3 მატჩი გაიმართა, რომლებიც მარტში უნდა ჩატარებულიყო და დიდთოვლობის გამო გადაიდო.

დინამო (თბ)-დილა 2:1

თბილისი. დინამო არენა

1:0 ანტილევსკი (2), 2:0 პაპავა (41), 2:1 გონსალვესი (63)

დინამო: პრიეტო, მალი, ბენიო, კალანდაძე, სტეფენი (ხარაბაძე 73), პაპავა, მექვაბიშვილი, ბარნსი (კირკიტაძე 63), მოისწრაფიშვილი (ლომინაძე 63), კამარა (გაბედავა 90), ანტილევსკი (ბილენკი 73)

დილა: კანევცევი, სილვა, ნონდი, ჭიჭინაძე, ჩიტეიშვილი, გაგნიძე (კ), სანტოსი, გომისი (ივანიაძე 56), ტავარეში (ლომთაძე 72), ღუდუშაური (გონსალვესი 45), მაქაცარია (მადინგა 72)

თბილისის დინამომ 2:1 მოუგო გორის დილას და პოტენციური ლიდერია – კახა ცხადაძის გუნდს 5 ტურში მხოლოდ 3 ქულა აქვს დაკარგული. მართალია, თბილისელები ერთი ქულით ჩამორჩებიან ბათუმის დინამოს, მაგრამ თამაში მარაგში აქვთ.

კვლავ გაიტანა ბელარუსმა დმიტრი ანტილევსკიმ და დინამო სწრაფად დაწინაურდა, პირველი ტაიმის ბოლოს კი, კაპიტანმა გიორგი პაპავამ, მშვენივრად შეასრულა საჯარიმო.

მე-2 ტაიმში შეცვლაზე შესულმა დილას შემტევმა ვაგნერ გონსალვესმა ლამაზი თავურით შეამცირა სხვაობა. დილამ 3-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა.

ტორპედო-ლოკომოტივი 4:2

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 კუხიანიძე (28), 2:0 ცინცაძე (42პ), 3:0 ნადარაია (53), 4:0 არაბიძე (60), 4:1 ხუციშვილი (88), 4:2 აწყურელი (90)

ტორპედო: ჰამზიჩი, მირცხულავა, სანდოხაძე, ნადარაია, შულაია (ვ.ტაბატაძე 73), კარაგუნისი, ცინცაძე (ვაჩიბერაძე 61), კუხიანიძე (პაპუნაშვილი 61), ქიმაძე (აბულაძე 50), არაბიძე, ახვლედიანი (ძარია 73)

ლოკომოტივი: ლომიძე, მჭედლიშვილი, ბუიღლიშვილი, გაბაძე, ქველაძე, ძებნიაური, ზოსიაშვილი (კეკელიძე 65), ომარაშვილი (მუკბანიანი 55), დარცმელია (ხუციშვილი 80), იაკობიძე (ჭიაბრიშვილი 55), შეყილაძე (აწყურელი 80)

ქუთაისის ტორპედომ 4:2 სძლია თბილისის ლოკომოტივს, რომელსაც ჯერჯერობით ქულა არ აქვს.

საათის თავზე ქუთათურები 4 ბურთით იგებდნენ და 4-ვე სხვადასხვა ფეხბურთელმა გაიტანა: გიორგი კუხიანიძემ, მათე ცინცაძემ, ცოტნე ნადარაიამ და გიორგი არაბიძემ. საინტერესოა, ცინცაძემ 2 საგოლე პასიც გააკეთა.

ლოკომოტივმა ბოლო წუთებზე 2-ჯერ მოახერხა გატანა და ეს შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა მოახერხეს – გაბრიელ ხუციშვილმა და ლაშა აწყურელმა. თანაც, ორივესთვის ეს სადებიუტო გოლი იყო კრისტალბეთ ეროვნულ ლიგაში. ხუციშვილმა სულაც პირველად ითამაშა მთავარ ლიგაში...

თელავი-სამგურალი 0:0

თელავი. კავკასიონი არენა

თელავი: სანიკიძე, ც.კაპანაძე, თოლორდავა, ზ.თევზაძე, ფაცაცია, მარაქველიძე, ქანთარია (ფირანაშვილი 85), ჯიქია, პავიშიჩი (აშორტია 68), გოშთელიანი (ქოჩლაძე 85), მუჯირი (ხაბულიანი 73)

სამგურალი: შოვნაძე, კიკაბიძე, მაისაშვილი, პატარკაციშვილი, გ.თევზაძე (კალანდარიშვილი 64), მ.ბაშელეიშვილი, გილმორი (ბურჯანაძე 46), სიმდიანკინი (დოლიძე 75), ჩიხლაძე (ქურდაძე 46), ჯერალდო, გავაშელიშვილი (კუხიანიძე 46)

თელავი და სამგურალი უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს – 0:0. ამ გუნდებს 8-8 ქულა აქვთ 5 მატჩში, ცხრილში მეზობლად, 4-5 ადგილებზე არიან. სამგურალს 4-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, აქედან ზედიზედ 2 შეხვედრაში გოლი არ გაუშვია. თელავსაც კარგი სტარტი აქვს, გუნდმა 5 მატჩში მხოლოდ ერთხელ წააგო.

სატუნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	6	4	1	1	13-4	13
2.დინამო (თბ)	5	4	0	1	9-5	12
3.დილა	6	4	0	2	8-6	12
4.სამგურალი	5	2	2	1	7-4	8
5.თელავი	5	2	2	1	5-3	8
6.გაგრა	5	2	1	2	7-6	7
7.საბურთალო	5	2	1	2	6-5	7
8.ტორპედო	5	2	0	3	5-10	6
9.სიონი	6	1	1	4	4-11	4
10.ლოკომოტივი	6	0	0	6	4-14	0



ჩელსი-ჰეაღი 1:3

ლონდონი. სტემფორდ ბრიჯი

0:1, 0:2 ბენზემა (21, 24), 1:2 ჰავერცი (40), 1:3 ბენზემა (46)

რეალის ჩამოწერა არც ერთ ტურნირში, არც ერთ დროსა და არც ერთი შემადგენლობით რომ არ შეიძლება, ლონდონშიც დაამტკიცა. ესპანელთა ფორვარდი ქარიმ ბენზემა კი შეუჩერებელია. ფრანგი მარტო „მიათრევს“ მადრიდულ კლუბს ტიტულისკენ.

„სტემფორდ ბრიჯზე“ გამართული მატჩი მეოთხედფინალებიდან ყველაზე თვალსასაჩინო გამოდგა. განსაკუთრებით პირველი ტაიმი, რომელშიც 3 გოლი გავიდა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 3-ვე თავური დარტყმით.

მადრიდელებმა პირველი ტაიმის შუამდე 2-ჯერ დაიჭირეს ლონდონელები კონტრშეტევაზე და ბენზემამ სტუმრებს კომფორტული უპირატესობა მოუტანა. მართალია, კაი ჰავერცმა შესვენებამდე მოახერხა გოლის გაქვითვა, მაგრამ ანტრაქტის შემდეგ ბენზემამ ჩელსის მეკარე მენდი უხეში შეცდომისთვის დასაჯა.

დარჩენილ დროში რეალი კარის უსაფრთხოებაზე უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე შეტევისთვის და საქმე ბოლომდე მშვიდად მიიყვანა და ნახევარფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

ახლა ჩელსის მადრიდში მინიმუმ 2-ბურთიანი მოგება სჭირდება. რაც არცთუ იოლი ამოცანაა...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ქარიმ ბენზემა

საქმე ასარჩევად არ გვქონია. 3 გოლი ყველაფრის მთქმელია. ბენზემა წელს „ოქროს ბურთის“ მთავარი პრეტენდენტია.

ტომას ტუხელი:

– ასეთი თამაშით ვერაფერზე ვიფიქრებთ. რეალისტები უნდა ვიყოთ და პირდაპირ ვთქვათ, რომ მსგავსი თამაშით სამბურთიან დეფიციტს ვერ აღმოვფხვრით. ბევრი რამ უნდა შევცვალოთ. სხვაგვარად წარმატებაზე ფიქრი უტოპია იქნება.

რეალმა ნახევარფინალს გახედა, ბაიერნმა ვილიარეალთან წააგო

კარლო ანჩელოტი:

– დაცვაში კარგად ვითამაშეთ და კონტრშეტევებიც გამოგვივიდა. ვფიქრობ, ჩვენი წარმატება უპირველესად დაცვაში საიმედო თამაშმა განაპირობა. ვინისიუსი და ბენზემა კი შეუდარებლები იყვნენ.

ვილიარეალი-ბაიერნი 1:0

ვილიარეალი. სერამიკა

1:0 დანჯუმა (8)

ვილიარეალმა კიდევ ერთხელ გააოცა გულშემატკივარიც და ფეხბურთის მოყვარულიც. ესპანურმა გუნდმა მატჩის დასაწყისშივე მოახერხა გოლის გატანა და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

ესპანელები ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ დაცვაში და მეტოქეს ხიფათის შექმნის შესაძლებლობას არ აძლევდნენ. თავად მეორეც გაიტანეს, მაგრამ ვიდეო-რეფერმ გაუუქმა. ესპანელებს კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა და საპასუხო მატჩის წინ გაცილებით სოლიდური უპირატესობით მისვლა, მაგრამ რეალიზაცია ვერ მოახერხეს.

და მაინც, მიუნხენის მატჩის წინ ფავორიტად მაინც ბაიერნი რჩება, რომელმაც ზალცბურგთან მერვედფინალში დაამტკიცა, რომ სტუმრად და სახლში სხვადასხვა გუნდია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – დანიელ პარეხო

ვილიარეალის შეტევების დირიჟორი ამ მატჩშიც შესანიშნავი იყო. პარეხო არეგულირებდა ტემპს, იწყებდა გუნდის შეტევებს და მუხტავდა შეტევებისკენ. მოედნის ცენტრში შავი სამუშაოც ბლომად გასწია.

უნაი ემერი:

– ყველაზე დამაკმაყოფილებელი და სასიხარულო ამაყი საზოგადოების ნახვაა. დიახ, ვილიარეალის ქომაგები ახლა ასეთები არიან და ამ გამარჯვების გაზიარება ჩვენთან ერთად სურთ. პროფესიონალიზმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია, მაგრამ ფეხბურთი არის გრძნობა! ამიტომ, ძალიან ვამაყობ, რომ ჩვენი გულშემატკივრები ბოლომდე გავახარე. ჩემი ბიჭები ფაქტობრივად სრულყოფილები იყვნენ. მომავალ კვირას კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა გადავდგათ და საკუთარ თავს გაცილებით მეტი მოვთხოვოთ.

იულიან ნაგელსმანი:

– წაგება დავიმსახურეთ. პირველ ტაიმში დაცვაში სიმძლავრე დაგვაკლდა და შეტევაში ძალიან ცოტა მომენტი შევქმენით. მე-2 ტაიმი კი სრულიად ველური იყო. ჩვენ დავკარგეთ კონტროლი, რადგან გოლის გატანა გვსურდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მეტოქეს კიდევ 2 გოლის გატანა შეეძლო. ახლა სხვაობა მხოლოდ ერთბურთიანია და წინ მეორე მატჩია. ვფიქრობ, მიუნხენში განსხვავებულად ვითამაშებთ. ვიცით, რაც უნდა გავაკეთოთ. ვილიარეალს კარგი გუნდი ჰყავს და შეცდომებს თითქმის არ უშვებს.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე რუსეთის ნაცვლად ითამაშებს

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსეთს ჩაანაცვლებს. საერთაშორისო საწყლოსნო ფედერაციამ (ფინა) რუსეთსა და ბელარუსს უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო ყველა ტურნირში ასპარეზობის უფლება ჩამოართვა და მსოფლიოზე რუსების ნაცვლად საქართველო ითამაშებს.

ფინამ მსოფლიო ჩემპიონატის კალათები გამოაქვეყნა, სადაც საქართველო მეოთხე კალათში მოხვდა. მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა კი 12 აპრილს გაიმართება.

საქართველოს გარდა მონაწილე ქვეყნები არიან: უნგრეთი, აშშ, მონტენეგრო, ავსტრალია, იაპონია, ყაზახეთი, კანადა, ბრაზილია, ხორვატია, ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია, სერბეთი, გერმანია და სამხრეთ აფრიკა.

წყალბურთის მსოფლიო ჩემპიონატი ქალაქ ბუდაპეშტში 20 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 2. ხელოვნურად გაშენებული ტყე; 3. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. უეფას პრეზიდენტი; 7. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი თვალი; 8. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. წყალში გაზავებული ამიაკის ხსნარი; 14. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 16. ლურჯი მინის წარმოებაში გამოყენებული ქიმიური ელემენტი მეტალი; 17. შექსპირის ტრაგედია; 19. ხელოვნების მუზეუმი ლოს ანჯელესში; 20. რძის პროდუქტი.

თარაზულად: 5. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 6. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 9. მიწათმოქმედების, ნაყოფიერების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 10. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 11. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 13. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 15. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 18. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 21. ქართველი მხატვარი მამაკაცი გობელენისტი; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 23. გულუბრყვილო, უეშმაკო ადამიანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კომედია; 2. ბუღა; 3. ბუერი; 4. კიტონი; 6. ჩოქბჯენი; 9. ბაგეტი; 13. პოპლიკა; 14. გაუტამა; 15. ჰენესი; 17. ფლუსი; 18. სკოტი; 20. არვე.

თარაზულად: 1. კუბდარი; 5. ჩარჩი; 7. ბულიმია; 8. მაღრიბი; 10. ეპოქა; 11. რანჩო; 12. ჟიგული; 16. ხამონი; 17. ფუქსი; 19. პერო; 21. შერიფი; 22. ასკოტი; 23. დინარი; 24. საუზმე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ოგინსკი; 2. დიდება; 3. კაბოშონი; 4. პითაგორა; 7. ციხისძირი; 8. აუტინოურა; 12. გრინვიჩი; 14. ბიოსფერო; 16. კომიქსი; 17. კრამიტი; 19. თორა; 20. აბიო.

თარაზულად: 5. აგრემანი; 6. ამაშუკელი; 9. ასუანი; 10. ბადიში; 11. ჯინგო; 13. გროგი; 15. რიკოთი; 18. ფობია; 21. პერგამონი; 22. ქულბაქი; 23. სანიოლი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0836

ევრო — 3.3577

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0309

100 რუსული რუბლი — 3.8660

ამინდის პროგნოზი 8 აპრილისათვის

ანჩელოტი: „ჯერ ყველაფერი დამთავრებული არ არის“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ჩელსისთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდი ახლოს არის წარმატებასთან, მაგრამ ჯერჯეროობით ყველაფერი დამთავრებული არ არის და ყურადღებით ყოფნაა საჭირო:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთ შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ ფეხბურთელებმა იციან, რომ წინ 90 წუთია და შეიძლება ყველაფერი მოხდეს, ამიტომ ზეიმი ადრეა.

მამარდაშვილს ესპანეთში ისევ აქებენ

ვალენსიის ქართველ მეკარეს გიორგი მამარდაშვილს ესპანეთში ისევ აქებენ და მას კარგი პრესა აქვს. გიორგიმ ზედიზედ რამდენიმე შეხვედრაში შეძლო თავისი კარის მშრალად შენახვა და ის უკვე უპირობოდ ვალენსიის პირველი მეკარეა.

მამარდაშვილს უკვე ახალ კონტრაქტსაც სთავაზობენ და მისი შეძენით სხვა კლუბებიც დაინტერესდნენ, თუმცა გიორგის ვალენსიაში დარჩენა სურს.

ნაპოლი კვარაცხელიას ტრანსფერში 8 მილიონს იხდის

იტალიური ნაპოლი მზად არის, ხვიჩა კვარაცხელიას ტრანსფერში 8 მილიონი გადაიხადოს და თუ ეს ტრანსფერი შედგა, კვარაცხელიას ანაზღაურება წელიწადში 2 მილიონი ევრო იქნება.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში აქტიურად იწერება იმის შესახებ, რომ კვარაცხელია ნაპოლის შეუთანხმდა და მხოლოდ რამდენიმე დეტალი დარჩა გასარკვევი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

საშა გველესიანი: „ძალად უბედური ხალხი ვართ ჩვენ“

მსახიობი და პოეტი საშა გველესიანი დარწმუნებულია, რომ ძალად უბედური ხალხი ვართ:

– რა ძნელია, შენს სამშობლოში, გიყვარდეს ის, რაც მართლა მოსაწონი და საყვარელია, რადგან რომ გიყვარდეს, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო, რომ ისწავლო, უნდა გადაშალო ეს გასაცოდავებული მოდგმა წიგნებისა და იკითხო. იკითხო იმიტომ, რომ წიგნი, შენს სამშობლოში შენს სამშობლოზე, იმან დაწერა, ვისაც უყვარდა და რომ დაეწერა, მანაც წიგნი წაიკითხა, უფრო ადრე დაწერილი იმათგან, ვისაც უფრო ადრე უყვარდა ეს სამშობლო. ძნელია არა?!

ჰოდა, რადგანაც ძნელია და უვიცობას კი არავინ გიშლის, მეტიც, სიყვარულისთვის შეიძლება მოგკლან კიდეც, სჯობს ბნელი იყო და ყველაფერი გძულდეს, ოღონდ, სიყვარულის სახელით და თავიც აღარ გტკივა?!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 აპრილისათვის

ვერძი – დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. ** კურო** – ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზს. შესაფერისი დღეა პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. **ტყუპები** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობის უნარი გჭირდებათ. **კირჩხიბი** – საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **ლომი** – მოულოდნელი ინფორმაცია მთელ გეგმებს თავდაყირა დაგიყენებთ. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **სასწორი** – პრობლემები არ გაწუხებთ. მთავარია, არ დაიბნეთ და გადაწყვეტილებები ნათელი გონებით მიიღოთ. **ღრიანკალი** – ემოციები მძლავრობს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად აგიმაღლდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **თხის რქა** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **მერწყული** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ გარგებთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ. **თევზები** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, რაც მომავალ წარმატებას ხელს შეუწყობს, თუმცაღა, წინდახედულობა მაინც გმართებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

დილით სახლში დაბრუნებულ ქალიშვილს გაცოფებული მამა ეკითხება:

– სად დაეთრეოდი მთელი ღამე?!

– ღამე ჩვენ ეროვნულ გმირთან გავატარე.

– ვისთან???

– უცნობ ჯარისკაცთან!

●●●

ცნობისმოყვარე მგზავრი ბორტგამცილებელ გოგონას ეკითხება:

– უკაცრავად, შეგიძლიათ მითხრათ, რას ნიშნავს ტუ-154-2ბ?

– ტუ იმას ნიშნავს, რომ ის ავიაკონსტრუქტორ ტუპოლევის მიერაა შექმნილი, 150 – მგზავრების რაოდენობას, ხოლო 4 ეკიპაჟის წევრების.

– და 2ბ?

– ეგ მე და მარინა ვართ.

●●●

ორ ველურს ხელში ჟურნალი „პლეიბოი“ ჩაუვარდა. ათვალიერებენ და შემდეგ ერთი მეორეს ეუბნება:

– ხედავ ამ თეთრკანიანებს, როგორი მენიუ ჰქონიათ?

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ნახევარი წელია ცოლს გავშორდი და წონაში 30 კილოგრამი მოვიმატე.

– მაგის განკურნება ხომ ელემენტარულია...

– როგორ?

– როგორ და ზეიმს თავი დაანებეთ.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ზაფხულში სად წამიყვან?

– დედაშენთან!

– და ახალ წელს?

– ჩამოვალ და წამოგიყვან!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თინა კანდელაკი: „ვისაც გძულვართ, ყველას მოგინელებთ“

აცხადებს ტელეწამყვანი თინა კანდელაკი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის რეჟიმის ქებაში აბსოლუტური რეკორდსმენია.

ტელეწამყვანი უკვე ღია მუქარაზე გადავიდა და მონელებას ჰპირდება ყველას, ვისაც ის სძულს:

– ისე იმუქრებიან, ზუსტად ვიცი, მესვრიან კიდეც. ასეც ხდება – პროვოკაციები, მუქარები, ჭორები, არა და არ სრულდება. დატოვეთ ეს ყველაფერი სოციალურ ქსელებში. ქალებს, კაცებს, ვისაც გძულვართ, ყველას მოგინელებთ. თქვენ სადაც განათლება მიიღეთ, მე ეგ სკოლა 10 წლის წინ გავიარე. ნუ იქნებით ასეთი უგუნურები.

გიორგი ფოცხიშვილი ჰოლანდიაში დადგმულ „რაიმონდაში“ მთავარ პარტიას იცეკვებს

ქართველი ბალერონი გიორგი ფოცხიშვილი მთავარ პარტიას იცეკვებს ჰოლანდიაში დადგმულ „რაიმონდაში“.

ინფორმაცია ქორეოგრაფმა გელოდი ფოცხიშვილმა გაავრცელა:

– 13 აპრილს ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამის სამეფო ნაციონალური ბალეტის პრემიერაა – „რაიმონდა“, სადაც ვაჟის მთავარ პარტიას ცეკვავს ჩემი შვილიშვილი გიორგი ფოცხიშვილი, რომელიც 15 მოცეკვავე ვაჟისაგან აარჩიეს. ქალის მთავარ პარტიას ცეკვავს უკვე ცნობილი ბალერინა ნატალია ციგანკოვა. პრემიერაზე დაპატიჟებული არიან მსოფლიო ცნობილი სახეები და ჟურნალისტები. თეატრმა პრემიერაზე დაპატიჟა გიორგის მშობლები გელა ფოცხიშვილი და მაია კიკნაძე.

ვუსურვოთ ახალგაზრდა მოცეკვავეს გიორგი ფოცხიშვილს და მთელ დასს დიდი წარმატება.

მორის მეტერლინკის „წმინდა ანტუანის სასწაული“ თოჯინურ სივრცეში პირველად დაიდგმება

10 აპრილს თბილისის თოჯინების თეატრში ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი დავით თარბა მაყურებელს მორის მეტერლინკის „წმინდა ანტუანის სასწაულს“ შესთავაზებს. ეს პიესა თოჯინურ სივრცეში პირველად დაიდგმება.

ინფორმაცია კომპოზიტორმა ლევან ბაშარულმა გაავრცელა, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს და ამ სპექტაკლის მუსიკაზე იმუშავა:

– საინტერესო, დამაფიქრებელი სპექტაკლის ჩვენებაა თბილისის სახელმწიფო თოჯინების თეატრში, რისთვისაც მუსიკაზე ვიმუშავე. 10 აპრილს მეც ვიქნები თბილისში და, რა თქმა უნდა, გამიხარდება ჩემი მსმენელის თუ მეგობრის პირადად იქ ნახვა.

საქართველოში პიესა თოჯინურ სივრცეში პირველად იდგმება. მორის მეტერლინკი ჩვენთვის ცნობილია, როგორც მისტიკური და ზღაპრული გარემოს შემქმნელი ავტორი. მისი პიესები ირეალური ფორმით რეალურ საფრთხეებსა და პრობლემებზე საუბრობს. გამონაკლისი არც „წმინდა ანტუანის სასწაულია“.

რეჟისორი ახალგაზრდა დავით თარბაა, რომელმაც ექსპერიმენტულ სპექტაკლში სწორედ მეტერლინკისთვის მახასიათებელი მისტიკური და ზღაპრული გარემო შექმნა. ქალბატონი ჰორტენზია გარდაიცვალა. იგი დიდი ქონების პატრონი იყო, მემკვიდრეობა მის ახლო ნათესავებს რჩებათ. ჯერ კიდევ მიწისთვის არ მიუბარებიათ და გარდაცვლილი ქალის ქონების გაყოფაზე ფიქრი უკვე დაიწყეს. ადამიანი დაიღუპა, ამ მოვლენაში კი მატერიალურ სიხარულსა და შვებას ხედავენ. ამ დროს ჩნდება წმინდა ანტუანი, რომელიც „ჭირისუფლებს“ სასწაულის ძალით ჰორტენზიას გაცოცხლებას სთავაზობს. რამდენად სჭირდებათ ასეთ „სიხარულში“ ყველაფრის აღრევა, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

წარმოდგენა 14+ მაყურებლისთვის არის რეკომენდებული.

ივანე ქურასბედიანი: „გადავწყვიტე, აღარ ვითამაშო სპექტაკლები რუსულ ენაზე“



გრიბოედოვის თეატრის მსახიობი ივანე ქურასბედიანი ამ გადაწყვეტილებას მანამდე შეასრულებს, სანამ უკრაინაში მიმდინარე სამხედრო დანაშაული უკრაინელი ხალხის გამარჯვებით არ დასრულდება.

ამის შესახებ მსახიობმა სპეციალური ვიდეო ჩაწერა და ინტერნეტით გაავრცელა:

– გამარჯობა, მე გახლავართ ივანე ქურასბედიანი, თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მსახიობი. პირველად ამ თეატრის სცენაზე ფეხი 2005 წელს დავდგი და მას შემდეგ, 17 წლის განმავლობაში არაერთხელ ვყოფილვარ გასტროლზე უკრაინასა და რუსეთის ფედერაციაში. ყოველი სტუმრობისას ახალ-ახალ მეგობრებს ვიძენდი და დღეს ბევრი მეგობარი მყავს ორივე ქვეყანაში და სწორედ ამიტომ ვწერ ამ ვიდეოს რუსულად.

პირველ რიგში, მინდა ჩემი ღრმა პატივისცემა და აბსოლუტური მხარდაჭერა გამოვუცხადო უკრაინელ ხალხს და სამშობლოს ყველა დამცველს და გარდა ამისა, მინდა ჩემი მკაფიო დამოკიდებულება ვაჩვენო ჩემს მეგობრებს, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთში და არა მხოლოდ.

მას შემდეგ, რაც ვნახე, რა მოხდა ბუჩაში, დავინახე დახოცილი ადამიანები შეკრული ხელებით და ნატყვიარებით კეფაში, მკვდრებით სავსე სარდაფები, გამოტყავებული და გაძარცვული ბინები, საძმო საფლავები და რუსეთის არმიის მიერ ჩადენილი ამგვარი მხეცობები, მე მივიღე გადაწყვეტილება, დღეიდან, ვიდრე არ დასრულდება ეს სამხედრო დანაშაული, გენოციდი უკრაინელი ხალხის გამარჯვებით, მე გადავწყვიტე, აღარ ვითამაშო სპექტაკლები რუსულ ენაზე.

ოდნავი ზიზღი არ გამაჩნია არც რუსი ხალხის და არც რუსული კულტურის მიმართ, მაგრამ დღეს, როცა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასეთ სისასტიკეს ჩადის რუსეთის არმია, მე არ შემიძლია სპექტაკლების მშვიდად თამაში რუსულ თეატრში ისე, თითქოს არაფერი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ თეატრი ჩემს მშობლიურ ქალაქშია და, ფაქტიურად, იგი ქართულია.

მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, მეგობრებს და ყველას, ვინც ნახავს ამ ვიდეოს, აპროტესტეთ, აპროტესტეთ დაუღალავად, ნებისმიერი საშუალებით, სამართლიანობის და უდანაშაულო სიცოცხლეების სახელით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გეჩვენებათ, რომ თქვენი პროტესტი ვერაფერს შეცვლის, რომ აღმოჩნდებით გარიყული ან ირონიის მსხვერპლი. აპროტესტეთ, გამოხატეთ თქვენი აზრი! და მაშინ ბოროტებას აუცილებლად მიეზღვება დამსახურების მიხედვით.

უკრაინა კი, რა თქმა უნდა, ძალიან დიდ ფასად, რომელსაც იგი იხდის არა მხოლოდ თავისთვის, არამედ ჩვენთვის, ყველასთვის, იქნება და დარჩება აყვავებულ, მშვიდობიან, ძლიერ, სუვერენულ და თავისუფალ ქვეყნად!

დიდება უკრაინას! დიდება გმირებს!

ჯოსვოხი ა



შვეულად: 1. სპეკულაციური გარიგება ბირჟაზე; 2. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 3. ლითონის ან ხის დასამუშავებელი დანადგარი; 4. კროსვორდის გამომგონებელი; 6. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოთხჯერ იყო აშშ-ის პრეზიდენტი; 9. სიკოდოლიძის მხატვრული ფილმი; 13. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 14. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 15. ქართული რადიო; 17. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 18. ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც ღებულობენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 20. ინდონეზიის კუნძული პოპულარული საკურორტო ზონა.

თარაზულად: 1. სამუზეუმო ექსპონატის მეორე ცალი; 5. მდინარე რომში; 7. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული ღარიბი ადამიანის ძველებური სახელწოდება; 8. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში მთავრდება რაიმე განმეორადებადი პროცესი; 10. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 11. ხეებზე, ქვებზე მზარდი უფესვო, სპოროვანი მცენარე; 12. სვან მამაკაცთა ცეკვა; 16. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 17. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 13. ტბა გაგრის რაიონში; 21. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 22. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 23. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 24. რეგიონი კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა